

ციხეხანი

№ 116 / 19 - 25 ნომბერი / 2012

დავით ლოსაბერიძე: „საზოგადოება მთავარია“ **33. 10**

კოლიტიკური კრიზისის ზღვარზე **33. 14**

ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა **33. 20**

ტელეკომპანია „მზა“ ნაციონალების ორბიტაზე **33. 32**

მონიტორინგი ჟურნალისტების გარეშე? **33. 38**

ყარაბაღს მიღმა **33. 44**

კონფორმისტები **33. 56**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



მადნაუდი ნაფი საბანძუხი

33. 26



ՈՅՄՅԿՈՒ ՁՆՆԵՐԻ ՆԲՆՈՒ ՄՆԵՆՁՁՔՆԵՅԲԵՐ



	POS.	FREC.	STD.	SR.	FEC.
EUTELSAT 36B	36°	11446 H	DVB-S	2222	3/4
HOTBIRD 13A	13°	11585 V	DVB-S	27500	3/4
TURKSAT 3A	42°	12639 V	DVB-S	4070	5/6

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

ალმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

რედაქტორები
ნინო ბექიშვილი
სოფო ბუკია

წარმომადგენლები:

ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიანი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალაძე, ლევან ახალაია, ლაშა ქავთარაძე

კონტრაგუტნი:

ბექა ქურხული, გაგა ნახუცრიშვილი, ცირა გეგასალია, დიმიტრი მანჯავიძე, ვალერი ძუცვეი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
თამარ ლონდაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი
ქეთევან ბაბუნაშვილი
გაყიდვებისა და გიგანის
ბანკოტარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:

სოფო პაპუნაშვილი
მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:

მიხეილ მამუჩიშვილი

წარმომადგენლის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.



ჩემი ახლობლის შვილი ორი დღის წინ გამოვიდა გლდანის მე-8 საპრობილიდან და მეორე დღე არ ძინავს. 22 წლის ბიჭი 8 თვის განმავლობაში იჯდა ციხეში, ხულიგნობის მუხლით (ტაქსის მძღოლთან წაიჩხუბა). ამ ხნის მანძილზე, რვაჯერ ცემეს, რის გამოც მას მთელი სხეული ტკივა და არ ძინავს. ღამე დადის და ბორგავს. გამთენიისას, ჩაძინებული, კანკალს იწყებს, ეღვიძება და ისევე დგება... და იწყებს წინ და უკან სიარულს, ისე, როგორც ციხეში. ჯერ სამედიცინო შემოწმება არ გაუვლია, ამიტომ, არ ვიცით, სერიოზული ფიზიკური დაზიანებები იწვევს ამ ტკივილებს თუ ძვალსა და რბილში გამჯდარი შიში და უმწეობის განცდა.

შიშისა და უმწეობისათვის არაფერს ვამბობ, რა თქმა უნდა, არც ბაჩო ახალაია. თუმცა, ვიდრე არ შევთანხმდებით, კერძო პოლიტიკური შეხედულებებისაგან დამოუკიდებლად, რომ ბაჩო ახალაია ცოტენ დადიანი კი არა, ძალადობაში ეჭვმიტანილი ყოფილი სახელმწიფო მოხელეა, იქამდე ჩვენი ბორგავაც გაგრძელდება და ვერ მოვიპოვებთ სიმშვიდეს იმ პოლიტიკური რეალობისაგან, რომელიც ბედისწერად გვექცა.

მე არ მანუხებს რეგანისტული ვნებები, თუმცა მანუხებს უსამართლობის განცდა, უკვე ბევრი წელია. სამართლის ძიება კი ძალიან რთული და საფრთხილო რამეა, და უზარმაზარ შინაგან წონასწორობას მოითხოვს. იმედი მაქვს, ახალ ხელისუფლებას ეყოფა კომპეტენცია, სიფრთხილე და თანაგრძნობა იმისათვის, რომ ეს მოახერხოს.

შორენა შავერდაშვილი




მონიტორინგი წინასწარმეტყველების ბაზაზე?

იურიდიული დახმარების, პრობაციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროს ციხეთა მონიტორინგის ჯგუფის ფორმატის გადახედვა სურს. დარჩებიან თუ არა ჯგუფში ჟურნალისტები? ამ და სხვა საკითხებზე სამინისტროს, არასამთავრობოთა ნაწილსა და ჟურნალისტებს შორის ცხარე დისკუსიები მიმდინარეობს.

ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, საზოგადოებრივი მონიტორინგის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ თავიანთი ხედვა წარმოადგინეს, ვინ და რა




კრიტიკრიუმების საფუძველზე დააკომპლექტებს მონიტორინგის ჯგუფს? რა ტიპის ანგარიშვალდებულება დაეკისრებათ ჯგუფის წევრებს? ამ და სხვა საკითხების განხილვა ცხარე დისკუსიის რეჟიმში მიმდინარეობდა.

 ზურაბ ვარდიანელი
83.38

მადნაედი - იაფი საბანძუი


2004 წელს მოსკოვში, კობა ნაყოფიას ოფისში, საქართველოდან ზარი გაისმა. ეკონომიკის მაშინდელი მინისტრი კახა ბენდუქიძე რუსეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენს საქართველოში ეპატიუებოდა.

„თავიდან კახა ბენდუქიძის მდივანი დამელაპარაკა. მითხრა, თბილისიდან, ეკონომიკის სამინისტროდან გირეკავთო. შემატყობინა, რომ მინისტრს ჩემთან საუბარი სურდა. ბენდუქიძემ მითხრა, რომ რალაც საკითხებზე სურდა ჩემთან დალაპარაკება და კარგი იქნებოდა, თუ საქართველოში ჩამოვიდოდი“, – ამბობს კობა ნაყოფია.

 ცირა გვასალია
83.26


"საზოგადოება მთავარია"

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა თითქმის არ ფუნქციონირებს. რა განაპირობებს მის სისუსტეს, რა არის ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები და სამოქმედო პრინციპები? ამ საკითხების შესახებ „ლიბერალი“ ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული კონგრესის ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრს დავით ლოსაბერიძეს ესაუბრა.

 ინტერვიუ დავით ლოსაბერიძესთან
83.10

ყახაზალს მიღმა


მარნეულის რაიონის სოფელი ნოფი ეთნიკური სომხებითა და აზერბაიჯანელებით არის დასახლებული. ამ ორ ქვეყანას შორის მრავალწლიანი კონფლიქტის მიუხედავად, ისინი საქართველოს ტერიტორიაზე მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. საბჭოთა კავშირის დროს აშენებული ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის წინ, ტალახიან ეზოში დიდი, ნარინჯისფერი კარავია გაშლილი. რკინის ფეხებზე რამდენიმე რიგად დამაგრებულ ფიცრებს შორის მუქტანსაცმლიანი ქალები ირევინ.

 გიორგი გოგუა
33.44

ფოტოჩაქოხტაჟი

უკანასკნელი მალაქნების ზღაპარი



 ლევან ხერხეულიძე
33.50-55

ნომერი:



ფოტოჩაქოხტაჟი
RICH METALS GROUP

- 04 მოკლე
- 06 ციტატები
ორი აზრი
- 08 იქონიებს თუ არა გავლენას სამხედრო მალაქნოსნების დაკავება ნატო-სთან ურთიერთობაზე?
გიორგი კანდელაკი VS კობა ლიკლიკაძე
პოლიტიკა
- 14 პოლიტიკური კრიზისის ზღვარზე
- 20 ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში
მეზობლები
- 24 რუსეთი და საქართველო – მოსალოდნელია თუ არა ურთიერთობის ლღობა?
მედია
- 32 ტელეკომპანია „მზე“ ნაციონალების ორბიტაზე
ეკონომიკა
- 42 ბიზნესები ბანკების ხელში
კომენტარი
- 56 კონფორმისტები
- 58 ღია კარის ქვეყანა
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 60 ვალაკტიონ ტაბიძის თხუთმეტში

გამომცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ფლენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამომცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ სააქტუო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

სიჩიის ოპოზიციის ლაზიქიანის ოლოლიონში



სირიის ახალი კოალიცია, რომელიც გასულ კვირას კატარის დედაქალაქ დოჰაში სამუშაო შეხვედრაზე შეიკრიბა, დასავლეთისაგან ლეგიტიმურ მთავრობად აღიარებას ითხოვს, რათა იარაღის შექმნა მოახერხოს.

როგორც აღმოჩნდა, საფრანგეთი და გერმანია დამატებითი პირობების შესრულებას ელოდებიან, რათა სირიის ეროვნული კოალიცია სრულად ცნონ, როგორც ბაშარ ალ ასადის ჩანაცვლებისათვის შესაფერისი ძალა.

ამერიკა და დასავლეთი კვლავაც უფრთხის იარაღის მიწოდებას ძალისათვის, რომელიც ანტიდასავლურად განწყობილ ისლამისტებსაც აერთიანებს.

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენლის, მუჟაბ ალჰათიბის განცხადებით, ოპოზიცია ამჟამად დასავლეთის დიპლომატიური მხარდაჭერის იმედაა.

„ჩვენ ვითხოვთ ევროპისაგან პოლიტიკურ აღიარებას, რათა გვცნონ სირიელი ხალხის კანონიერ წარმომადგენლებად, ასევე ვითხოვთ ფინანსურ დახმარებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექნება საშუალება, რომ ვიმოქმედოთ როგორც მთავრობამ და შევიძინოთ იარაღი, რომელიც პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარება“, – განუცხადა ალჰათიბმა სააგენტო „როიტერს.“

ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლების განცხადებით კი, სირიული ოპოზიციის ხელახალი ფორმირება და ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების დასაცავად განცხადებების გაკეთება პოზიტიური სიგნალები იყო, თუმცა ეს საკმარისი არაა ამ ძალის პოლიტიკური აღიარებისათვის.

ჯახინა ობამას ბამაჩკაბა მიჯოსა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ბარაკ ობამას საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება ტელეფონით მიულოცა. ამის შესახებ ინფორმაცია კრემლმა 13 ნოემბერს გაავრცელა.

ლიდერებმა ტელეფონით რამდენიმე წუთს ილაპარაკეს, რომლის დროსაც პუტინმა მეორე ვადით არჩეულ ობამას წარმატება უსურვა ახალი გუნდის ჩამოყალიბებაში. „ორივე ლიდერმა დაადასტურა ორმხრივი, მჭიდრო ურთიერთობების თანმიმდევრული განვითარების ინტერესი, მათ შორის ეკონომიკურ ასპექტში“, – აღნიშნულია კრემლის გავრცელებულ განცხადებაში.

რუსული მხარის ცნობით, ვლადიმერ პუტინმა ბარაკ ობამა კიდევ ერთხელ დაპატიჟა რუსეთში, რაზეც აშშ-ის პრეზიდენტისაგან თანხმობაც მიიღო.

ტელეგრამა ობამამ პუტინისაგან 7 ნოემბერს, არჩევნების მეორე დღეს მიიღო, სადაც რუსეთის პრეზიდენტი მას „დიდი უპირატესობით“ გამარჯვებას ულოცავდა და იმედი გამოთქვა, რომ დაძაბული საარჩევნო კამპანიის შემდეგ ის რუსეთს ეწვეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბარაკ ობამას პუტინის წინამორბედთან შესამჩნევად უკეთესი ურთიერთობა ჰქონდა, რუსეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა არაერთგზის დაადასტურა, რომ მიმდინარე არჩევნებში ის დემოკრატიის კანდიდატს „უფრო“ ემხრობოდა, რესპუბლიკელების კრიტიკას რუსეთისადმი კი ის შეცდომად აფასებდა და ობამას უწოდებდა „პატიოსან ადამიანს, რომელსაც ბევრი სასიკეთო ცვლილება სურს“.

ისრაელის საჯახიო დახმება ჰამასის ერთ-ერთი ციხის იმსხვივება

ჰამასის ისლამისტური სამხედრო დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი იმსხვერპლა ისრაელის მიერ განხორციელებულმა საჯახო და საზღვაო თავდასხმამ ლაზას სექტორში. აშშ-სა და ხალილ ალ-ჯაბარი და ჰამასის კიდევ ერთი წარმომადგენელი თავდასხმისას ავტომობილით გადაადგილდებოდნენ,

ავტომობილის აფეთქებას კი ორივე მათგანის დაღუპვა მოჰყვა.

BBC-ის ცნობით, ლაზას ტერიტორიაზე განხორციელებული სამხედრო ოპერაცია, პალესტინელების მხრიდან ისრაელზე განხორციელებულ სარაკეტო იერიშს მოჰყვა.

პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს თქმით, ისრაელი უფრო ფართო სამხედრო იერიშისათვისაც მზად იყო.

„დღეს ჩვენ ჰამასს და სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს მკაფიო მესიჯი გაუგზავნეთ“, – განაცხადა ნეთანიაჰუმ. პალესტინის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კი თავდასხმამ ლაზას სექტორში კიდევ ხუთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მძიმედ დაშავდა რამდენიმე მოქალაქე, მათ შორის, ერთი არასრულწლოვანი, რომელიც კრიტიკული მდგომარეობის გამო ლაზას




ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს. მომხდარს უკვე გამოეხმაურა ეგვიპტეც, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა ისრაელის სამხედრო მოქმედებები და საპასუხოდ ისრაელში თავისი ელჩი გამოიწვია, ხოლო ისრაელის ელჩს საპროტესტო ნოტა გადასცა და გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოსა და არაბული ლიგის ერთობლივი შესვედრის გამართვა მოითხოვა.

უკრაინაში მუშაობის ბამოსკლეი ბიძალა

უმუშევრობისა და მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ევროპის მასშტაბით მუშები საპროტესტო აქციებს მართავენ.

მუშათა გაერთიანებების ინფორმაციით, 14 ნოემბერს საპროტესტო აქციებმა, რომლის ორგანიზატორიც



ევროპის სავაჭრო კავშირის კონფედერაცია იყო, 23 ქვეყანა მოიცვა. მათ შორის, მუშები გამოვიდნენ საფრანგეთში, ბელგიაში, საბერძნეთსა და იტალიაში. ესპანეთსა და პორტუგალიაში კი საპროტესტო აქცია პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. ესპანეთში, სადაც უმუშევრობა ევროპის მასშტაბით უმაღლეს ნიშნულს 25%-ს აღწევს, მოსახლეობის ნაწილმა გადასახადების გაზრდა და ხელფასების, პენსიებისა და სოციალური შეღავათების შემცირება გააპროტესტა.

მთელი ევროპის მასშტაბით ათეულობით საჰაერო რეისი გადაიდო, რის გამოც ავიაკომპანიებმა მგზავრებს ბილეთების შექენისაგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდეს.

სავაჭრო კავშირის კონფედერაციის წარმომადგენელმა ჯუდიტ კირტონ-დარლინგმა პრესას განუცხადა, რომ ევროპის მასშტაბით იზრდება უთანასწორობა დასაქმებულებს შორის, იზრდება სოციალური არასტაბილურობა, კრიზისის მოგვარების გზები კი არ ჩანს, სწორედ ამის გასაპროტესტებლად შეიკრიბნენ მუშები ევროპული ქალაქების ქუჩებში.

ოთხშაბათს მონეობილ დემონსტრაციებს 23 ქვეყნის მასშტაბით, ორგანიზება 40-მდე მუშათა კავშირმა გაუკეთა.

ჩინეთს ახალი ენეჰი ჰყავს

ჩინეთის კომუნისტური პარტიის რიგით მე-18 ნაციონალურ ყრილობაზე ახალი პოლიტიკური მმართველები დასახელდნენ.

მომავალი ათი წლის მანძილზე კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი სი ძინპინი იქნება, მომავალი წლის მარტში კი ის ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობას დაიკავებს. მას ძველ, კონსერვატიულ, მუდმივმოქმედ კომიტეტთან ერთად მოუწევს სახელმწიფოს მართვა მომავალ დეკადაში.

„ჩვენს პარტიას ბევრ სერიოზულ პრობლემასთან მოუწევს გამკლავება“, – აღნიშნა ახლად არჩეულმა ძინპინმა, „სამთავრობო კორუფცია, მოსახლეობასთან კონტრაქტის არქონა და ფორმალობასა და ბიუროკრატის მაღალი დონე ქვეყანაში სასწრაფოდ არის აღმოსაფხვრელი და ის დიდ ძალისხმევას მოითხოვს ჩვენგან. მთელი პარტია უნდა იყოს ყურადღებით“.

სი ძინპინს მსოფლიოში სიდიდით მეორე ეკონომიკის პრობლემების დაძლევა მოუწევს, რომელიც მიუხედავად მისი მასშტაბებისა, დასავლური სტანდარტებისა და მოთხოვნებისთვის ზედმეტად მყიფეა.

„მდიდარ და ღარიბ ადამიანებს შორის შემოსავალი რადიკალურად განსხვავე-

ბულია ჩინეთში. გარდა ამისა, პერიფერიებში მცხოვრებთა ცხოვრების დონე საკმაოდ დაბალია, თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქვეყნის ეს ნაწილებიც ნელ-ნელა დაიწყებენ განვითარებას“, – აღნიშნავს, პეკინის ერთ-ერთი ბანკის მმართველი, რომელმაც სახელის გამჟღავნება არ ისურვა euronews-თან საუბრისას.

70 წლის პეკინის მცხოვრები ქიან ვენლეი კი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალი ათი წელიწადი ჩინეთის განვითარებისათვის გადამწყვეტი იქნება. „შემდეგი ათწლეული ჩვენთვის, მოქალაქეებისათვის განვითარების, ეკონომიკური წინსვლისა და მმართველი ელიტის დაწმენდის იმედებთან ასოცირდება. დარწმუნებული ვარ რომ ასეც მოხდება და დიდი მოლოდინით შევყურებ ქვეყნის ახალ მმართველებს“, – აღნიშნავს ჩინეთის მცხოვრები. ■





„ვაფასებ აქტიურ დებატებს „ფეისბუქის“ გვერდზე, მაგრამ ქართველებს ვთხოვ, ერთ ოფიციალურ ენაზე წერონ – ან ფრანგულად, ან ინგლისურად, რადგან ქართულად არ შემიძლია წავიკითხო“, –

ანდერს ფოგ რასმუსენი, ნატო-ს გენერალური მდივანი




„ბაჩო ახალაია, ეს არის უდიდესი ზნეობრივი და სულიერი მაგალითი საქართველოსთვის – ცოტნე დადიანივით დაბრუნდა საქართველოში... ვერაფერი ამას ვერ ამოშლის საქართველოს ისტორიიდან“, –

სვიმონ მასხარაშვილი, ისტორიკოსი



„სწავლის გადასახადის გაძვირებას ვაპირებთ. განათლებაში მეტ ფულს უნდა ვიხდიდეთ, შესაბამისი ცოდნა რომ შევიძინოთ, მაგრამ ფული სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა, ბანკიდან სესხის სახით თუ ოჯახიდან, ეს სხვა თემაა. სწავლის საფასურის გაიაფებით თავის მოტყუების მეტს ვერაფერს მივიღებთ“, –

გიორგი მარგველაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი



„ვფიქრობ, რომ „რუსთავი 2“ დღეის მდგომარეობითაც არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაბალანსებული ტელევიზია და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს ამ ახალ ვითარებაში, ვიყოთ ძალიან მწვავეები, გავაშუქოთ ყველა ინფორმაცია. ბუნებრივია, ჩემი აქ მოსვლით თუ ვინმეს კითხვის ნიშნები დაებადა, ეს კითხვის ნიშნები ძალიან მალე გაქრება“, –

ნიკა გვარამია, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი



„შოთა ხიზანიშვილის დაკავება მოხდა იმის გამო, რომ პირადად ჩემზე მოხდეს ზენოლა, რადგან ის არის ჩემი პირადი მეგობარი, ჩვენ ვმეგობრობთ ოჯახებით. მაგრამ ნუ ექნება ბიძინა ივანიშვილს იმედი, რომ ასეთი ნაბიჯებით ის რაიმე შიშს ან შეშფოთებას შემოიტანს ჩვენს რიგებში.

პირიქით, ეს ჩვენ უფრო გაგვადლიერებს“, –

ვანო მერაბიშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი



ავტომანქანა

უდარდელი ერთი წელი

პირველადი შენატანი 0%-დან 20%-მდე

1 წელი ავტორეცხვა

1 წელი ავტოდაზღვევა ჯიჰიანი

1 წელი C.T. PARK

0% - იანი ავტომანქანა

საუკეთესო პირობები

ისარგებლეთ ბანკ „რესპუბლიკის“ ავტომანქანებით, მიიღეთ განვადების საუკეთესო პირობები და სპეციალური, დაუჭერებელი საჩუქრები: 1 წელი ჯიჰიანი ჰოლდინგის ავტოდაზღვევა; 1 წელი C.T. PARK; 1 წელი მანქანის რეცხვა; 0%-იანი ავტომანქანა. უფრო მეტი! პირველადი შენატანი 0%-დან 20%-მდე!



ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიოთა ქანაჩანი

290 90 90

* 90 90

BR.GE

ღიას

გიორგი კანდელაკი

ნაციონალური მოძრაობის წევრი

სამხედრო მაღალჩინოსნების დაკავებამ ნატო-სთან ინტეგრაციის პროცესზე გავლენა უკვე იქონია. გადაიდო სამხედრო კომიტეტის ვიზიტი საქართველოში და საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია ამ დაპატიმრებაზე ძალიან არაორაზროვანი იყო. რაც გამომხატული იყო, მაგალითად, ნატოს გენერალური მდივნის განცხადებაში, ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში აშშ-ს კონგრესის დელეგაციის თავმჯდომარის განცხადებაში, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში და სხვადასხვა საერთაშორისო ლიდერის განცხადებებში.

ერთი მხრივ, ტექნიკური საკითხია, როცა მასპინძელი ციხეში ზის, როგორ ჩახვალ სტუმრად? მაგრამ ეს ხომ პოლიტიკური სიგნალიც იყო. ხელისუფლებამ ხომ ძალიან კარგად იცოდა, რომ ამხელა კომიტეტის ვიზიტი იყო მოსალოდნელი?! შტაბის უფროსის დაპატიმრება შეიძლება აღქმული იყოს როგორც ნატოს მიმართ გარკვეული პოლიტიკური სიგნალი.

ამავე დროს, შეიძლება არ მოგვწონდეს გარკვეული შეფასებები, რომლებსაც საქართველოს მეგობრები აკეთებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ანტიდასავლურ ან ანტინატოურ რიტორიკაში უნდა გადავიჭრათ. როგორც ეს თედო ჯაფარიძემ ან მოროშკინამ გააკეთეს. ჯაფარიძემ არაადეკვატური უწოდა ნატოს გენერალურ მდივანს. ჩვენ ვიცით, რომ „ოცნების“ შიგნით არაერთი ანტიდასავლურად განწყობილი ლიდერია და ეს ქვეყანას ზიანის მეტს არაფერს მოუტანს.

მომხდარი არ ნიშნავს, რომ ინტეგრაციის პროცესი შეჩერდა, მაგრამ თანამეგობრობის რეაქციის აზრი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ, ერთი მხრივ, დაფიქსირდა, რომ ნატოსკენ საქართველოს სვლა უნდა გაგრძელდეს, როგორც ეს ქართველ ხალხს სურს და მეორე მხრივ, ამ ადრეულ ეტაპზე აუცილებელია, ახალ და გამოუცდელ ხელისუფლებას ავუხსნათ, რას მოაქვს სარგებელი ინტეგრაციისთვის და რას – ზიანი. ამ დაკავებების შემდეგ მაპის პერსპექტივამ ნამდვილად გადაინია და თუ საქართველო ავტორიტარიზმში გადაეშვება და მისი დემოკრატიული განვითარება შეფერხდება, ის გაქრება დასავლური რადარებიდან, ეს კი გარანტიანია იმისა, რომ საქართველო რუსეთის ორბიტაზე დაბრუნდება.

ეს დაკავებები მთლიანად აბსურდულია. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ჯერ მტკიცებულებების შეგროვება ხდება, შემდეგ ბრალის წაყენება და შემდეგ დაპატიმრება. ჩვენთან კი უკვე მერამდენედ ხდება პირიქით. ეს დაკავებები საერთოდ მტკიცებულებების გარეშე მოხდა. მსგავსი ფაქტები კი ნებისმიერი ქვეყნისთვის უკან გადადგმული ნაბიჯია. **ღ**



ფოტო: თორნიკე ზინაიძე / ინტერპრესსერვისი

იქონიებს თუ აჩა ბავჯანას დახავება ნახოსტ

ამ დაკავებების შემდეგ მაპის პერსპექტივამ ნამდვილად გადაინია და თუ საქართველო ავტორიტარიზმში გადაეშვება და მისი დემოკრატიული განვითარება შეფერხდება, ის გაქრება დასავლური რადარებიდან.



სამხალხო მალაჩინოსნების დან უხთიუხთობაზე?

■ სრულიად ბუნებრივი პროცესია, როდესაც ქვეყანაში ხდება მალაჩინოსნების დაკავება, მთავარია, საერთაშორისო საზოგადოება დარწმუნდეს იმაში, რომ ამ პროცესებს პოლიტიკური მოტივაცია არ აქვს.

არა

კობა ლიკლიაძე
ჟურნალისტი

საპარლამენტო არჩევნების პერიოდიდან მოყოლებული, რასაც მე თვალს ვადევნებ, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ დასავლეთის მხრიდან ერთგვარი შემფოთება გამოითქვა. მაგრამ შემფოთება არის მხოლოდ სამუშაო ტერმინი, რომელიც შეიძლება აღფრთოვანებაშიც გადაიზარდოს.

იმ ხნის განმავლობაშიც კი, როცა საქართველო ნატო-ში ინტეგრაციისკენ ნაბიჯებს დგამდა, ჩვენ ქვეყანაში უამრავი სხვადასხვა სახის დაკავება ხდებოდა, მათ შორის იყვნენ სახელმწიფო მოხელეები.

არცერთი ძველი რეზოლუცია არ მახსოვს, სადაც ნატო არ გამოთქვამს შემფოთებას სასამართლოების მიკერძოებასთან დაკავშირებით და საქართველოს სამინაო დავალებად ყოველთვის მითითებული ჰქონდა ამის გამოსწორება.

ამიტომ, სრულიად ბუნებრივი პროცესია, როდესაც ქვეყანაში ხდება მალაჩინოსნების დაკავება, მთავარია, საერთაშორისო საზოგადოება დარწმუნდეს იმაში, რომ ამ პროცესებს პოლიტიკური მოტივაცია არ აქვს.

მართლმსაჯულება მუშაობს, ის ვერ გაჩერდება და ვერ იქნება მიკერძოებული და ლმობიერი მალაჩინოსნების წარმომადგენლების მიმართ. ამიტომ, ვთვლი, რომ მთავარი პროცედურებია, როგორი ნაბიჯები გადაიდგმება, როგორ დაამტკიცებენ ამ სამხედრო მალაჩინოსნების ბრალეულობას, რამდენად უზრუნველყოფს სახელმწიფო ამ პირების უსაფრთხოების დაცვას, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო პროცესების წარმართვას და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ შესაძლო შედეგებზე.

აუცილებელია ქართულ საზოგადოებას ჰქონდეს ყველანაირ ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის საშუალება.

ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით რეზოლუციების ისტორიაში ასეთი მკაფიო ჩანაწერი არასდროს ყოფილა, მხედველობაში მაქვს მისი ბოლო პუნქტი, სადაც ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა სახელმწიფოთა მეთაურებს მოუწოდებს, რომ განიხილონ საქართველოსთვის მაპის სამოქმედო გეგმის მიცემა. მაპი ელოდება საქართველოს, როგორც შემდეგი ეტაპი და საქართველოს მხრიდან გაკვეთილის ჩაბარების პროცესში გამორჩევა, ეს პერსპექტივა ახლოა თუ შორეული. **■**



ფოტო: ლეანა სპიტაქიანი

"საზოგადოება მთავარია"

ინტერვიუ ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული კონგრესის ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრთან **დავით ლოსაბერიძესთან**

დავით ლოსაბერიძე: „საქართველოს მოსახლეობა იყო, არის და იქნება, ლიდერები მიდიან და მოდიან, საზოგადოება არჩევანს აკეთებს“.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა თითქმის არ ფუნქციონირებს. რა განაპირობებს მის სისუსტეს, რა არის ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები და სამოქმედო პრინციპები?

რა არის თვითმმართველობის მთავარი პრინციპები?

მსოფლიოში აღიარებულია სუბსიდიზმის პრინციპი. რისი გაკეთებაც შეიძლება ქვედა დონეზე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაეცეს გასაკეთებლად მაღალ დონეს. ის, რისი გაკეთებაც შეუძლია ადამიანს – რა ჩაიცვას ან როგორ განწყობაზე იყოს, არ არის ოჯახის, სამეზობლოს, ნათესავების, ქალაქის მერის, პრეზიდენტისა თუ გაერთიანებული ერების გადასაწყვეტი. ის, რის გაკეთებასაც ვერ ახერხებს პირი, უფრო მაღალ რგოლს გადაეცემა: ოჯახს, უბანს, ქალაქს და ა.შ. ქვემოდან ზემოთ პრინციპია მთავარი და როგორც ისტორია გვიჩვენებს, ამან გაამართლა. ქვედა რგოლის თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზედა რგოლისა.

საქართველოში როგორ მუშაობს ეს პრინციპი?

რაც არ უნდა ჭკვიანი პრეზიდენტი გვყავდეს, გენიალური პრემიერ-მინისტრი და მინისტრები, შეუძლებელია, რომ ერთ კაბინეტში გადაწყდეს 3766 დასახლებულ პუნქტში, პლუს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების პრობლემები. თუ გადაწყდა, ასეთი გადაწყვეტილება ყოველთვის არაადეკვატური იქნება. მაგალითად, მოხუცებით დასახლებულ სოფელში საქანელებს დაკიდებენ. პრეზიდენტმა გულწრფელად დაუკიდა საქანელები, ბავშვები ითამაშებენო, მაგრამ იმ სოფელში ბავშვი არ არის. ანდა – სოფელს არ აქვს წყალი და ამ დროს კომუნისტებისდროინდელი სტადიონი გაურემონტეს და ამის გარდა, ორმა სხვადასხვა სამინისტრომ კიდევ ორი სტადიონი გაუკეთა. სოფელში სამი სტადიონია და 10-15 ბიჭი ცხოვრობს. იმდენიც არ არიან, რომ ერთ სტადიონზე გუნდებად ითამაშონ. ამ დროს სოფელს წყალი არ აქვს. სტადიონები ცუდი არაა, კარგი გააკეთეს, მაგრამ ეს ნათელი მაგალითია, რომ ცენტრიდან ვერ გადაწყდება ეს საკითხები.

ჩვენთან ყველაფერი ცენტრიდან

წყდება და დღესაც წყდება. სუბსიდიზმის პრინციპი ბიბლიაშიცაა და ილიაც წერდა სოფლის მონყოფის შესახებ. ილია ჭავჭავაძე წერდა საქართველოში იმის შესახებ, რაც 1987 წელს ევროპის თვითმმართველობის ქარტიის მთავარ პრინციპებად იქცა. საქართველოს ამ კონვენციაზე ხელი აქვს მოწერილი და ეს პრინციპები ჩვენთვის სავალდებულოა. რატიფიცირება ცოტა გაინელა და 2004 წლის 1 აპრილს რატიფიცირდა. სტრასბურგში ხუმრობენ, რომ 1 აპრილს გვითხარით, მოგვატყუეთო.

■ თუ გინდა, რომ ბავშვს ცურვა ასწავლო, წყალში უნდა ჩააგდო. ეს არ ნიშნავს, რომ ჩააგდო და მიატოვო. წყალიც შეიძლება გადაყლაპოს, მაგრამ ისე ცურვას ვერ ისწავლის. ქართველს რეგიონში გადაწყვეტილების მიღების ისეთივე უნარი აქვს, როგორც აფრიკელს, ევროპელს, აზიელს...

ამ კონვენციით საქართველომ რა ვალდებულებები იკისრა?

მოსახლეობასთან სიახლოვე: მე რაც არ უნდა კარგი ვიყო, ვერ გადაწყვეტ ყველა ადამიანის პრობლემას, მან თვითონ უნდა გადაწყვიტოს და ამისათვის უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა. შესაბამისად, მეორე საკითხი დგება, საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება. ქვედა დონეზე სამუშაოს ვერ გიპოვით, მე თქვენ პენსიებს ვერ გავზრდი, ეს არ არის ჩემს კომპეტენციაში. მაგრამ თქვენთან შუქი უნდა იყოს, კანალიზაცია, გამწვანება, სკვერები, ანუ თქვენი საარსებო გარემო, უკეთესი რომ იყოს, მე ვარ პასუხისმგებელი, ამიტომ ამირჩიეთ მე. პრეზიდენტი

იმიტომ ამირჩიეთ, რომ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას მიხედოს.

სერვისების მიწოდება ჩვენი ტიპის, გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში კიდევ ორი ტიპის ფაქტორით მყარდება. ესაა ინტეგრაციული პროცესების გაძლიერება. როდესაც ჯვავახეთში ან ქვემო ქართლში ვუკრძალავ სომეხს ან აზერბაიჯანელს საკუთარი ნაციონალური ინტერესების გამოხატვას, ბუნებრივია, ვაძლიერებ სეპარატიზმს. ერთადერთი შანსი, რომ თავი გადაირჩინოს, ისაა, რომ უკეთეს შემთხვევაში – გამომეყოს. თუ მე ადგილობრივ ინტერესებს ვუკმაყოფილებ და მას აქვს საშუალება ჩხუბის გარეშე გადანყვიტოს საკუთარი პრობლემები, ის ჩემი მოკავშირე ხდება და თავადაა დაინტერესებული სიტუაციის შენარჩუნებაში. ამაზე ჩვენთან კამათია, მივცემთ უფლებებს და დაინგრევა ქვეყანაო. ყველგან სადაც ეს მოხდა, ინტეგრაციული პროცესები გაძლიერდა.

კიდევ ერთი პრინციპი ადგილობრივი ელიტების ფორმირებაა. დღეს ვიცით, რომ მინისტრებს ვერ არჩევენ, ხალხი ჭირს, საიდან უნდა მოვიდეს ეს ხალხი? დღეს ყველა მორბის თბილისში, სოფელში ან რეგიონულ ცენტრში დარჩენა, მინცდამინც, არ უნდათ. არა იმიტომ, რომ იქაურობა არ უყვართ, თბილისში მეტი პერსპექტივაა. რეგიონებში კადრების პრობლემა უფრო მწვავეა. როდესაც არსებობს ახალგაზრდების ამბიციური ჯგუფი და მივდივარ რესპუბლიკელი, ნაციონალი თუ ა.შ. ვხედავ ჩემი ღირებულებების შესაბამის უამრავ ადამიანს. ვიცი, რომ სხვადასხვა რეგიონში მყავს ხალხი, რომელსაც მე კი არ ვეძებ, თავად გაჩნდა. ასეთ დროს არც თვითმმართველობას და არც სახელმწიფოს კადრების შერჩევა არ უჭირს.

ჩამოთვლილი ფუნქციებითა და კატეგორიებით როგორია ჩვენი თვითმმართველობა?

დავინყოთ იმით, რომ მაქსიმალურად ცენტრალიზებულია. მაგალითად, რა ფერის ავტობუსის გაჩერება უნდა იყოს ჩხორონწყუს რომელიმე სოფელში, პრეზიდენტი წყვეტს. მაგალითად, სოფლის დახმარების პროგრამა. ყოველწლიურად

სოფელი რაღაც თანხას იღებს და თავად უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა ამ თანხით გაკეთდეს. უცებ აღმოჩნდა, რომ გურჯაანის ყველა სოფელმა მოინდომა ჰქონდეს სტადიონი. ერთი გურჯაანელი არ აღმოჩნდა, რომ ეთქვა – სტადიონი კი არა, სახინკლე მინდაო. ჩხორონყუს ყველა სოფელმა გადაწყვიტა, რომ წითლად ან ყვითლად შეღებილი ავტობუსის გაჩერება უნდა. თავისთავად გასაგებია, რომ ეს ცენტრიდან გადაწყდა. „ხალხი ბრბოა, ხალხს ელაპარაკე, ხალხს რომ დაუწყო ახსნა...“ და ა.შ. პოლიტიკის გამო პირდაპირ გუბერნატორებს ეუბნებოდნენ, ჩამონერე რა შეიძლება გაკეთდესო. აღმოჩნდება რომ მის ნათესავს წითელი საღებავი შემოაქვს და გადაწყდება, რომ ამ თანხით ყველა სკოლა წითლად უნდა შეიღებოს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის გადანაწილება ხალხთან კავშირის შედეგად ან განსაზღვრული ადგილობრივი პრიორიტეტების მიხედვით არ ხდება?

უფრო მეტიც, იურიდიულ იუმორს უწოდებენ ამას სტრასბურგში, ქართველებს მხიარული იურისპრუდენცია გაქეთო. 2009 წლის 27 მარტს მინაშვილის ინიცირებით ორგანულ კანონში ცვლილებები შევიდა. თვითმმართველობებმა მიიღეს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციების დაფინანსების უფლება თუ მთავრობა ამას სთხოვდა. წარმოიდგინეთ, გამგებელი ხართ და უცებ გირეკავთ ვანო მერაბიშვილი და პოლიციისთვის მილიონი ლარის დახარჯვას გთხოვთ. რომელი იტყოდა უარს? ეს კონსტიტუციითაც დარღვევაა. მთავარსარდალი გვყავს ერთი, გამგებელს ვინ ჰკითხავს ძალოვანი სტრუქტურის საქმეში რომ ერევა? თვითონ პრეზიდენტი ავალებს ამის გაკეთებას. ამ დროს ადგილობრივ კომპეტენციებს ვერ ახორციელებს თვითმმართველობა, საბავშვო ბაღებზე ვიცით, რა პრობლემებიცაა. მინაშვილის კანონი 2009 წელს მიიღეს და 2006 წლიდან მუშაობს. შედეგად – ადრე რომ რაღაცას ავალებდნენ, ეს დარღვევა „გაპარავებულა“.

რა არგუმენტით ამართლებდნენ ამ კანონის მიღებას?

ქვეყანას სჭირდებაო. ქვეყანას თუ სჭირდებოდა, თქვენ წინააღმდეგი ხომ ვერ იქნებოდით? თუ იქნებოდით და არსებობდა პროკურატურა.

იურიდიული ფაქტორების გარდა სხვა რა ფაქტორები ქმნიდა თვითმმართველობის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის პრობლემას?

მთავარი პრობლემა პოლიტიკური ისტებლიშმენტის დამოკიდებულებაა: მე ვარ შეფი, თქვენ ყველანი ხართ ცხვრები. მე თქვენი გაბედნიერება მინდა, მაგრამ თქვენ არ იცით, რა არის ბედნიერება! ძალით უნდა შეგრეკოთ ბედნიერებაში. ნებისმიერი რადიკალური აზრი ამას ღალატებს. ლევან რამიშვილი „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ გულწრფელად ამბობდა, რომ ხალხმა რა იცის, ჩვენ ძალით უნდა შევრეკოთ და შემდეგ მიხვდებიან, რა კარგები ვართ ჩვენო. კომუნისტებიც, ფაშისტებიც, ნებისმიერი რადიკალური მიმდინარეობა ასე აკეთებდა. არ მინდა ისე გამოვივადო, რომ ისინი არ ფიქრობდნენ ხალხის ბედნიერებაზე. პირიქით ფიქრობდნენ. ისტორიამ გვანახა, რომ ხალხთან კავშირის გარეშე ეს არ გამოდის.

პრობლემა სტრუქტურის არაეფექტური მუშაობაა. სტალინის პერიოდის ტერიტორიული მოწყობა გვაქვს: რაიონული მოწყობა, რაიკომის მდივანი პირველი კაცია, ის მართავს სიტუაციას. სინამდვილეში, ცენტრი ავალებს ყველაფერს. ადგილზე არაფერი წყდება. ის რომ, ხალხს აქვს საშუალება ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღებაში და დაესწროს სხდომებს, ქალაქზე და დარჩენილი. რომელ სხდომებს უნდა დაესწროს, როდესაც ლანჩხუთის საკრებულოში შესვლა უფრო რთულია, ვიდრე საქართველოს პარლამენტში? აკრედიტაცია ერთჯერადია, მეორე დღეს რომ მიხვდეთ, ან ორი საათის შემდეგ, ხელახალი აკრედიტაცია გჭირდება. ამერიკის კონგრესში ტერაქტის შემდეგაც უსაბუთოდ შედიხარ, უბრალოდ, გჩხრეკენ.

უამრავი ბარიერია, არ არსებობს ერთიანი სისტემა და ადგილობრივ მმართველს ეშინია პასუხისმგებლობის.

რამეს რომ შეგპირდეს და თბილისიდან დაურეკონ და სხვა რამე დაავალონ, რა ქნას?!

პრობლემებია კომპეტენციების გაყოფა. განვევას რატომ უნდა კურირებდეს ადგილობრივი თვითმმართველობა და საბავშვო ბაღების ფერის შეღებვას – ცენტრალური ხელისუფლება?

როგორაა ფედერალური და ცენტრალური ბიუჯეტი გაყოფილი?

ადრე იყო ცოტა ფული. ბიუჯეტის მესამედი მიდიოდა რეგიონებზე. სააკაშვილის დროს ბიუჯეტიც გაიზარდა და შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებაც ათჯერ გაიზარდა. სადაც 200 ათასს იღებდნენ, ახლა 2 მილიონს იღებენ. მაგრამ ის თანხა, რომელზეც მე ვიღებ გადაწყვეტილებებს – შემცირდა. ადგილობრივი თვითმმართველობა ფინანსურად მთლიანად ცენტრზეა დამოკიდებული. მან არ იცის რამდენს მიიღებს. თან თუ ვაძლევდით 100 ლარს და ეს თანხა მისი იყო და თავად შეეძლო დაეხარჯა, ახლა ვაძლევთ მილიონ ათ ლარს, ოღონდ თან ვავალებთ ჩემთვის მილიონიანი მანქანის ყიდვას და ფეხის ქირად 10 ლარი რჩება. კონსტიტუციით ეს არაა სწორი, მაგრამ იქვე არსებობს მინაშვილის კანონიც.

რამდენად სისტემური ხასიათი ჰქონდა ამას?

ადგილობრივი თვითმმართველობის 12 პროცენტი არამიზნობრივი ხარჯი იყო, ანუ 2 მილიარდიდან 300 მილიონი იხარჯებოდა პოლიციის შენობებზე, მანქანებზე და ა. შ.

საიდან უნდა დაიწყო პრობლემის მოგვარება?

დღევანდელი თვითმმართველობა საქართველოს ისტორიაში ყველაზე ერთპარტიული თვითმმართველობაა. 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნები ყველაზე მონოპარტიული იყო, არის რეგიონები სადაც ნაციონალის გარდა არავინაა. შეიცვალა სიტუაცია და ხალხი გამოდის ნაციონალებიდან და შედის ოცნებაში.

მათი მოტივაცია გასაგებია. ერთ-

-ერთმა დეპუტატმა თქვა: უმრავლესობის მხარეს უნდა ვიყო. უნდა, რომ მთავრობასთან ჰქონდეს კარგი ურთიერთობა.

ჩვენ ვთავაზობთ ხელისუფლებას კონცეფციას, რომელიც სისტემის ძირეულ ცვლილებას გულისხმობს. როგორ უნდა განხორციელდეს, როგორ უნდა მოენყოს ტერიტორია, ვინ ახორციელებს, ვის რა უფლებები აქვს, როგორ უნდა გადანაწილდეს ბიუჯეტი. ღია დისკუსიას ვითხოვთ ამასთან დაკავშირებით. დღეს პარადოქსული სიტუაციაა. ადგილობრივ თვითმმართველობას არ აქვს საკუთარი ქონების გაყიდვის უფლება. ამის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს. უცნაურია, მე თქვენი სახლის გაყიდვის უფლება მაქვს, ე.ი. ის სახლი ჩემი ყოფილა.


ჩვენ ვთავაზობთ, რომ 2013 წელი იყოს კონცეპტუალური მომზადების წელი, შემდეგ 2014 წელს იყოს საპილოტე ცდა, როდესაც მოდელი დაიდება და 2014 წლის არჩევნები ჩავატაროთ იმ სისტემაში, რომელიც ოპტიმალურია ქვეყნის-

თვის. ამის ნება თითქოს არის, ივანიშვილმაც არაერთხელ განაცხადა, რომ ეს პრიორიტეტია.

აღნიშნეთ, რომ დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მონოპარტიული ხდება ადგილობრივი თვითმმართველობა. რა პროცესები განაპირობებდა ამას?

ის პროცესები, რაც ზოგადად ქვეყანაში მიდიოდა. ავტორიტარიზმის გაძლიერება. ხელისუფლების იმანენტური თვისება – რაც უფრო მეტის ნებას მომცემ, უფრო მეტს გაგებდავ, თან როდესაც მე არ მაქვს შემზღუდავი ბარიერები ოპოზიციის და სასამართლოს სახით. ჩერჩილი რომ გადაირჩიეს, ტიროდა, ინგლისელ ხალხს აღარ ვჭირდებო. ომის გმირი იყო და ომის შემდეგ გადაირჩიეს, ინგლისელმა ხალხმა ასე გადაწყვიტა. ინგლისი მარადიული კატეგორიაა. საქართველოს მოსახლეობა იყო, არის და იქნება, ლიდერები მოდიან და მიდიან, საზოგადოება აკეთებს არჩევანს.

როდესაც თვითმმართველობის გაძლიერებაზე საუბრობენ, ამბობენ, რომ საქართველოს მოსახლეობას თვითმმართველობის კულტურა არ გვაქვს და ეს სერიოზულ ბარიერს ქმნის. არის თუ არა ეს ბარიერი?

ეს არის აბსოლუტური სისულელე. თუ გინდა, რომ ბავშვს ცურვა ასწავლო, წყალში უნდა ჩააგდო. ეს არ ნიშნავს, რომ ჩააგდო და მიატოვო. წყალიც შეიძლება გადაყლაპოს, მაგრამ ისე ცურვას ვერ ისწავლის. 1998-2002 წლების თვითმმართველობა ყველაზე დემოკრატიული იყო, იმ გაგებით, რომ რაც ფული ჰქონდათ, თავად წყვეტდნენ – სად წასულიყო. ძირითადად, თვითონ ინანილებდნენ ამ ფულს, მაგრამ რეალური პოლიტიკური პროცესებიც მიდიოდა და აღმოჩნდა, რომ ქართველს რეგიონში გადაწყვეტილების მიღების ისეთივე უნარი აქვს, როგორც აფრიკელს, ევროპელს, აზიელს... 

ესაუბრა თინა ყიფშიძე.

RadიCommersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

ორხალის უფლებიანობა

პოლიტიკა ხიზისის ზღვაზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ოპოზიციონერი პრეზიდენტის ერთდროულმა ვიზიტმა ევროპაში ნათლად წარმოაჩინა, რომ ამ ორი სახელისუფლებო შტოს თანაარსებობა დიდხანს ვერ გასტანს.

სოფო ბუკია

დედაენის კოშკისა და პარლამენტის ახალი შენობის მაკეტები პირველია, რაც აქ თვალში მოგხვდება. რეიგანის ბიუსტი, ღვთისმშობლის ხატი. ბუხრის თავზე დაკიდებული ილია ჭავჭავაძის დიდი პორტრეტი და კიდევ ოთახის სხვადასხვა კუთხეში მიმოხეული რამდენიმე სუვენირი. მათ შორის, მხარ-თეძოზე წამოწოლილი უცნაური ინდური სპილო, რომელსაც თავზე ოქროს გვირგვინი ადგას.

არაბი შეიხის ნაჩუქარ ჭრელ ხალიჩაზე ხის სანერი მაგიდა დგას, სადა, თეთრი ტყავის სკამებით გარშემორტყმული. ბრიტანული „ეკონომისტი“, ფრანგული „ლე მონდი“, ქართული გაზეთების დასტა. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების რუკა, სპორტული კეპი წარწერით Georgia და საწუნნი აბები ყელის ტკივილისთვის – ეს ნივთები მაგიდაზე აკურატულად აწყვია.

საქართველოს პრეზიდენტი რეზიდენციაში არ არის, ამიტომ მის სამუშაო კაბინეტს თამამად ვათვალიერებთ.

აქაურობა შორიდან ბევრად პომპეზური ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია.

ისეთი სიმშვიდეა, ბუხის გაფრენის ხმას გაიგონებთ. დაცვის რამდენიმე წევრი, ორიოდ დამლაგებელი და მეზაღე, რომელიც გვიანი შემოდგომისთვის უჩვეულოდ თბილი ამინდით სარგებლობს და ეზოში დარგულ ხეებს ნიადაგს უცვლის.

რეზიდენციის შუშის გუმბათიდან მთელი თბილისი ხელისგულივით ჩანს. ერთ მხარეს – ახლად აშენებული იუსტიციის სახლი, შუშის ხიდი, რიყეზე და სხვა ადგილებში დაწყებული დიდი მშენებლობები. ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრი, ასევე, ჟანგინი წითელი სახურავებით გადახურული ავლაბრის ბარაკები. მეორე მხრიდან კი სასახლეს სამების უზარმაზარი ტაძრის ჩრდილი ეცემა.



ამ სასახლის დღევანდელი მასპინძელი – საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროპაში თავის მორიგ საზღვარგარეთულ ვიზიტს ატარებს. ეს პირველი ვიზიტია მას შემდეგ, რაც მისი პარტია არჩევნებში დამარცხდა. მას თავისი საპრეზიდენტო კარიერის განმავლობაში პირველად ხელისუფლების გაზიარება უნევს. ეს ასევე პირველი საზღვარგარეთული ვიზიტი იყო საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრისთვისაც.

ქვეყნის პირველი პირების ამ ევროპულმა ვოიაჟმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მათი თანაარსებობა საკმაოდ რთული და სახიფათოც შეიძლება აღმოჩნდეს.

გასულ კვირას ქვეყნის ორი პირველი პირი ერთდროულად იმყოფებოდა ერთსა და იმავე ქალაქში, ხვდებოდა ერთსა და იმავე მაღალჩინოსნებს ისე, რომ მათი გზები ერთხელაც არ გადაკვეთილა.

„საერთოდ, რატომ დადის და რისთვის

დადის ეს კაცი და ვის სჭირდება კიდევ, არ ვიცი“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა, ბრიუსელიდან მე-9 არხზე პირდაპირი ჩართვის დროს.

პრეზიდენტის და პრემიერის მიერ ევროპიდან გაკეთებულმა განცხადებებმა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანეს მათ შორის არსებული დაპირისპირება. სწორედ ევროპაში ვიზიტის დროს ახსენა პირველად პრეზიდენტმა სიტყვა „ორხელისუფლებიანობა“.



ფოტო: ლევან სანაკულაიამ

„დღეს, იმ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, რომელმაც ახალი საპარლამენტო უმრავლესობა და ახალი მთავრობა შექმნა. რეფორმატორების გუნდს დააკარგვინა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლების უმეტესი ნაწილი. მე თქვენთან მოვედი, როგორც ორხელისუფლებიანი ქვეყნის პრეზიდენტი, როგორც პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ოპოზიციის ნაწილია“, – განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას.

პრეზიდენტი, როგორც ყოველთვის, ემოციური იყო. თავისი განცხადებებით, ის ევროპელებს მიუთითებდა იმაზე, რომ ივანიშვილი არ ასრულებს თავის სიტყვას – ითანამშრომლოს ხელისუფლების ოპოზიციურ ნაწილთან.

ბიძინა ივანიშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი საზღვარგარეთ სააკაშვილმა აშკარად გააფუჭა თავისი იქ ყოფნით. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ყურადღება საქართველოს ახალ ლიდერზე ყოფილიყო და ევროპელი კოლეგებისგან მილოცვები მიეღო, გამოცდილმა პოლიტიკოსმა სააკაშვილმა მაინც მოახერხა ივანიშვილი თავის მართლების რეჟიმში ჩაეყენებინა. ევროპელი მაღალჩინოსნების განცხადებების მთავარი თემა იყო ის, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს ოპოზიციასთან საერთო ენის გამოთხზვა. ეს განწყობა ყველაზე მკვეთრად ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებაში გაისმა, რომელმაც გააკრიტიკა ახალი ხელისუფლება პოლიტიკური დაპატიმრებების გამო.

საკაშვილის მიერ სიტყა „ორხელისუფლებიანობის“ ხსენება შეუმჩნეველი არ დარჩენია მმართველ პარტიას.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა სახიფათო უნოდა პრეზიდენტის ამ განცხადებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ბენჯის ხიდზე გადის, რომ ქვეყანა სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისში არ შევიდეს. მისი თქმით, „სირცხვილია, როდესაც პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ერთ ქალაქში, ერთ თემზე სასაუბროდ იყვნენ ჩასულნი და მოხდა ის, რაც ვნახეთ“.

„თუ ამ ტიპის აზრები აქვს ვინმეს, ძალიან სწრაფად არის საჭირო ამ აზრებისგან გათავისუფლება და ჩვენ ყველა უნდა დავებმართოთ მას ამაში“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

საფრთხე, რომელსაც უსუფაშვილი ხედავს, რეალურია. მდგომარეობას, რომელშიც დღეს ქვეყანა აღმოჩნდა, სამართლებრივად ხელისუფლების დაყოფა ჰქვია.

მსგავსი პრაქტიკა მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში არსებობს. ცივილიზებულ სამყაროში მსგავსი სიტუაციიდან გამოსავალი ერთია – თანაცხოვრება, ანუ თანამშრომლობა

მიუხედავად ყველაფრისა, რომელიც ერთ ძირითად მიზანს – სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებას ემსახურება.

თუმცა, საქართველოში მსგავსი თანაცხოვრების შესაძლებლობას ორი ფაქტორი ართულებს.

პირველი – კონსტიტუციის ის მოდელია, რომელიც დღეს მოქმედებს და რომელიც სრულიად არ ერგება ხელისუფლების მსგავს დაყოფას.

მეორე – თანაცხოვრება, ანუ თანამშრომლობა





ფოტო: ლეანა ნასროლიძე

■ საქართველოს დღევანდელი კონსტიტუცია პრეზიდენტს ანიჭებს შეუზღუდავ უფლებებს. მეორე მხრივ კი, ქვეყანაში არსებობს დემოკრატიული არჩევნების გზით მოსული პოლიტიკური ძალა, რომელსაც ქვეყნის მართვის მანდატი ხალხმა მიანიჭა. იქნება თუ არა საქართველოში პოლიტიკური კრიზისი, დიდწილად პრეზიდენტის ნებაზეა დამოკიდებული.

იმ პირობებში, როცა მთელი ძალაუფლება კონცენტრირებულია ერთი ადამიანის – პრეზიდენტის ხელში, ხოლო მთავრობა და საკანონმდებლო ხელისუფლება მის ოპოზიციას წარმოადგენენ, თითქმის შეუძლებელია მათი თანაცხოვრება.

ერთი მხრივ, საქართველოს დღევანდელი კონსტიტუცია პრეზიდენტს ანიჭებს შეუზღუდავ უფლებებს. მეორე მხრივ კი, ქვეყანაში არსებობს დემოკრატიული არჩევნების გზით მოსული პოლიტიკური ძალა, რომელსაც ქვეყნის მართვის მანდატი ხალხმა მიანიჭა.

იქნება თუ არა საქართველოში პოლიტიკური კრიზისი, დიდწილად პრეზიდენტის ნებაზეა დამოკიდებული.

სწორედ მას აქვს ბერკეტები, რომელთა ამოქმედება ახალ ხელისუფლებასთან დაპირისპირებას გამოიწვევს და ქვეყნის ნორმალურ ფუნქციონირებას შეაფერხებს.

თუმცა, პრეზიდენტს ჯერ არცერთი ეს ბერკეტი არ გამოუყენებია.

კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი პრეზიდენტს აქვს.

მას შეუძლია, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე გადააყენოს მთავრობა. მისი ექსკლუზიური უფლებაა, ძალოვანი ან სხვა მინისტრების გათავისუფლება. ამ აქტის გასაჩივრება, კონსტიტუციის მიხედვით, შეუძლებელია.

პრეზიდენტს შეუძლია, მოინვიოს მთავრობის სხდომა და იქ მიღებული გადაწყვეტილებები თავისი აქტით გააფორმოს. ისევე როგორც, შეუძლია მთავრობის ნებისმიერი აქტი გააუქმოს.

პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებაა ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის ხელშეკრულებების დადება. თუმცა, ამ შემთხვევაში შეკავების მექანიზმი არსებობს – პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო დოკუმენტები ძალაში მხოლოდ მას შემდეგ შევა, რაც პარლამენტში რატიფიცირებას გაივლის.

პრეზიდენტს ძლიერი ბერკეტები აქვს საკანონმდებლო სფეროშიც. მას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. რიგგარეშე განხილვის მოთხოვნის უფლება. ასევე, ვეტოს უფლება, რომლის დაძლევაც პარლამენტს მხოლოდ სამი მესხუთედით შეუძლია.

პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დათხო-

ენის კონსტიტუციური უფლებაც. თუმცა, ამ უფლების გამოყენება პარლამენტის არჩევანიდან წავის განმავლობაში არ შეუძლია. ამავ დროს, მას არ შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი ბოლო წვეთის საპრეზიდენტო უფლებამოსილების ამონაწილად. რაც მიხილ სააკაშვილისთვის, რომელიც პოსტს 2013 წელს დატოვებს, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ამ უფლების გამოყენებას.

ის, რომ მიხილ სააკაშვილს დღემდე ამ კონსტიტუციური ბერკეტებით არ უსარგებლია, სულაც არ ნიშნავს, რომ ის თანახმაა ბრიტანელი დედოფლის როლი მოიგოს, რომელიც მას „ქართულმა ოცნებამ“ განუსაზღვრა. გენერალური შტაბის უფროსთან გენერალ კალანდაძესთან დაკავშირებული სკანდალი ამის მანიშნებელია.

მეორე ფაქტორი, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ხელისუფლების დაყოფას პოლიტიკურ ოპონენტებს შორის, ის პოლარიზაციაა, რაც ქვეყანაში არჩევნების დასრულების შემდეგაც კი ქვეყანაში თვალსაჩინოა.

პირველივე განცხადებაში არჩევნების შემდეგ, სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლებაში მოვიდა ძალა, რომელთანაც მას და მის გუნდს პრინციპული და ფუნდამენტური ღირებულებებით განსხვავება აქვს.

„ქართული ოცნების“ ამომრჩეველი, რომელმაც 1 ოქტომბრის არჩევნებზე, პირველ რიგში, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ავანსცენიდან გასვლას მისცა ხმა, ახალი ხელისუფლებისგან რადიკალურ, თამამ ნაბიჯებს ელის.

ახალი ხელისუფლების მიერ ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებას მათი ამომრჩევლის დიდი ნაწილი სამართლიანად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ სწორედ ამისთვის მისცა „ქართულ ოცნებას“ ხმა. ეს კარგად გამოჩნდა ნატოს გენერალური მდივნის „ფეისბუქის“ გვერდზე, როცა მის კრიტიკულ განცხადებას პოლიტიკური დაჭერების შესახებ, ასობით ქართველი ფეისბუქმომხმარებლის კომენტარი მოჰყვა.

არსებულ სიტუაციაში, უფრო რეალური სცენარი იქნება ის, რომ უმრავლესობა ყველანაირად ეცდება ვადაზე ადრე გაისტუმროს არასასურველი პრეზიდენტი ან პარლამენტში მოიპოვოს ხმათა საჭირო რაოდენობა იმისათვის, რომ ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც მომავალი საპრეზიდენტო არჩევ-

ნების შემდეგ შედის ძალაში, დროზე ადრე ამოქმედოს.

ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი მმართველი გუნდისთვის საფრთხე აღარ იქნება, რადგან ახალი კონსტიტუციით ის სუსტი და უუნაროა.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებისთვის საჭიროა საფუძველი. ეს შეიძლება იყოს პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვე-

ვა ან რაიმე დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენა.

იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულზე ინკრინირებული, საქმე გაეგზავნება უზენაეს სასამართლოს. თუ უზენაესი სასამართლოს პლენუმმა დაადგინა, რომ პრეზიდენტის ქმედებებში არის დანაშაულის ნიშნები, დასკვნა ეგზავნება პარლამენტს. პარლამენტმა მინიმუმ 2/3 შემადგენლობით 14 დღის ვადაში უნდა გადაწყვიტოს პრეზიდენტის გადაყე-



■ **პრეზიდენტი რეზიდენციაში არ არის, ამიტომ მის სამუშაო კაბინეტს თამამად ვათვალიერებთ. ისეთი სიმშვიდეა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებთ. დაცვის რამდენიმე წევრი, ორიოდ დამლაგებელი და მეზღვე, რომელიც გვიანი შემოდგომისთვის უჩვეულოდ თბილი ამინდით სარგებლობს და ეზოში დარგულ ხეებს ნიადაგს უცვლის.**



პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კაბინეტი

ნება-არგადაყენების საკითხი. ხოლო თუ პრეზიდენტს ბრალი ედება კონსტიტუციის დარღვევაში, იგივე პროცედურა საკონსტიტუციო სასამართლოს გავლით უნდა განხორციელდეს.

თუმცა, საკანონმდებლო ორგანოში ჯერ-ჯერობით კონსტიტუციური უმრავლესობის არქონის გარდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს დღეს ისევე ძველ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები ხელმძღვანელობენ.

ძველი ხელისუფლების ხელშია დღეს თვითმმართველობაც. კიდევ უფრო რთული იქნება „ქართული ოცნებისთვის“ თბილისის მერთან ბრძოლა, რომელიც 2010 წელს არის არჩეული და ამ პოსტზე მუშაობის ვადა 2014 წლამდე აქვს. უგულავას მერობას მხოლოდ ის თუ შეაფერხებს, რომ მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაემუქრება.

„რეალურად, რასაც ვაწყდებით, ეს არის არა კონსტრუქციული დიალოგი სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის, არამედ ახალი ხელისუფლების მცდელობა, რომ ფინანსური წნეხით ან სხვაგვარი მეთოდებით დაიკავოს ის სახელისუფლებო შტოები, რომელთა ბედიც ამ არჩევნებით არ გადაწყვეტილა“, – ამბობს უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი.

თუ გავითვალისწინებთ „ქართული ოცნების“ ლიდერის განცხადებებს, პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო გართულდება და პოლიტიკურად სუსტი, თუმცა კონსტიტუციურად ძლიერი პრეზიდენტის თავიდან მოშორება დღევანდელი უმრავლესობის ნომერი პირველი ამოცანა გახდება.

„კარგია, რომ თვითონ საუბრობს ამას, ორხელისუფლებიანი ქვეყნის პრეზიდენტი რომ არის. მაგრამ, რატომ აქვს მას ხელისუფლება – ამას უპასუხოს. არჩევნები წააგო კაცმა, რატომ ინარჩუნებს ხელისუფლებას, ეგაა საინტერესო“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბრიუსელში ვიზიტის შემდეგ.

ალბათ სიმბოლურია, რომ პრეზიდენტის სასახლე ერთ-ერთი პირველი შენობა აღმოჩნდა, რომელსაც ქვეყანაში მომხდარი ცვლილებები ყველაზე თვალსაჩინოდ დაეცყო. რამდენიმე დღის წინ აქ გარე განათება გათიშეს. ასე რომ, სალამობით აქაურობა სიბნელეშია ჩაფლული. ■



რუსეთის შეიარაღებული ძალები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, 2008

თვალსაზრისი

ოჯახიბელი ბეხიბოხიბის ჰიბბემა საქათველო-ევროკავშირის ებეგრატიული მოლაპარაკებების პროცესში ოკუპირებული ტერიტორიების თემას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, საქათველოს ნებისმიერი ნაბიჯი ამ მიმართულებით, შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს.

საქათველო-ევროკავშირის ებეგრატიული მოლაპარაკებების პროცესში ოკუპირებული ტერიტორიების თემას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, საქათველოს ნებისმიერი ნაბიჯი ამ მიმართულებით, შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს.

დიმიტრი მანჯავიძე

ამ მოკლე მიმოხილვის თითოეული საკითხი ცალკე თემას წარმოადგენს. ეს საკითხები ქართული საზოგადოების მუდმივი ყურადღების საგანი უნდა იყოს, რადგან საქათველოს ევროატლანტიკური, თუ რუსულ-ევრაზიული ორიენტაციის ბედს დიდწილად სწორედ აფხაზეთის და შიდა ქართლის ოკუპირებული, უფრო სწორად ამ ეტაპზე (ანდა სამუდამოდ) წართმეული ტერიტორიების მომავალი განსაზღვრავს.

დღევანდელი მდგომარეობით, რუსეთის მიერ ძალისმიერად მონყვეტილი ტერიტორიების დამოუკიდებლობას მსოფლიოს დიდი ნაწილი არ ცნობს და ამ ტერიტორიებს ოკუპირებულს უწოდებს.

უახლოეს მომავალში საქათველომ პრინციპული მიდგომით უნდა შეძლოს საერთაშორისო ასპარეზზე ამ სტატუსს კვოს გამტკიცება. ამ მიდგომარეობის შენარ-

ჩუნება დღეს საქათველოს სახელმწიფო სტრუქტურების მთავარი მოვალეობაა.

აქედან გამომდინარე, საქათველო-ევროკავშირის ებეგრატიული მოლაპარაკებების პროცესში ოკუპირებული ტერიტორიების თემას დიდი მნიშვნელობა აქვს.

2008 წლის აგვისტომდე ევროკავშირის, უფრო სწორად, ევროკომისიის პოზიცია მაშინდელი „კონფლიქტური რეგიონების“ მიმართ გრძელვადიანი, რუტინული პროგრამების განხორციელებას ითვალისწინებდა. სრული თანხმობა იყო ევროკომისიაში იმაზეც, რომ ამ პროგრამების შესრულების გარანტი რუსეთის მიერ ფაქტობრივად მანიპულირებული მოლაპარაკების ფორმატები უნდა ყოფილიყო.

თანაც, საკუთარი რესურსის უქონლობის გამო, ევროკომისია პროგრამების შესრულებლად ირჩევდა გაეროს (ძირითა-

დად აფხაზეთის მიმართულებით), ეუთოს (ძირითადად ცხინვალის მიმართულებით) და დამატებით დასავლურ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც თავისი ქვეყნის მთავრობების ხელშეწყობით იღებდნენ ევროკომისიის დაფინანსებას. თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქათველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ევროკომისიის ამგვარი მიდგომა ისევ აქტუალური გახდება. რადგან საქათველოში ხელისუფლების ცვლილების შემდგომ ევროკომისიას, გაეროს სააგენტოებს და მათ არასამთავრობო პარტნიორებს ახალი შანსი მიეცათ.

2008 წლამდე ქართული მხარის მიერ ამ პროგრამების გადახედვის მოთხოვნები და მათი მოდერაციის მცდელობები ევროკომისიაში და დასავლეთ ევროპის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში გალიზიანებას იწვევდა.

ევროკომისიის პოზიცია გულისხმობდა საქართველო-ევროკავშირის ფორმატში დამტკიცებული პროგრამების, მათ შორის, მაგალითად, European Neighborhood Programme ფარგლებში, სრულიად დამოუკიდებელ განხორციელებას, სადაც ქართული მხარე მხოლოდ „რეციპიენტის“ როლს უნდა დასჯერებულიყო. ამ პროგრამებს გარკვეული პოლიტიკური ფასი მინც ჰქონდათ, თუმცა მათი უშუალო ზეგავლენის ხარისხი კონფლიქტის მოგვარების პროცესებზე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ამ ხაზს მიჰყვებოდა ასევე ერთი ცხინვალში, რომლის ათეულობით პროექტი, საუკეთესო შემთხვევაში, არაპირდაპირ, ანდა მეტად შეზღუდულ გავლენას ახდენდა კონფლიქტების რეალურ მსვლელობაზე.

ამ კონტექსტში ცალკე მაგალითია 2006 წლიდან დიმიტრი სანაკოევის გამოჩენა. ალბათ გვახსოვს, როგორი უნდობლობით შეხვდნენ ევროკავშირის დასავლეთ ევროპული ქვეყნების წარმომადგენლობები ამ მეტად პერსპექტიულ ინიციატივას, რომელსაც ცხინვალის რეგიონის ოსური მოსახლეობის ნაწილის მხარდაჭერის დიდი და რეალური შანსი ჰქონდა. ფაქტობრივად, სწორედ მათ მიერ მოხდა სანაკოევის ჯგუფის სრული მარგინალიზაცია კონფლიქტის მოგვარების პროცესების კონტექსტში. ამის მთავარი მოტივი ის იყო, რომ ეს ახალი ფაქტორი ემუქრებოდა არსებულ მოლაპარაკებათა ფორმატს, რომელიც დასავლელი პარტნიორების აზრითაც კი, უკვე სრულიად დეგერირებული იყო და რაიმე პროგრესის მიღწევას აპრიორი გამოიციხავდა. რუსეთისათვის, რომელიც სანაკოევის გამოჩენით მეტად შემფოთებული იყო, ასეთი „მოკავშირის“ გამოჩენა სასიამოვნო ფაქტი იყო. სანაკოევის ჯგუფის ფაქტობრივად სრულმა მოუღებლობამ საძირკველშივე „ჩაკლა“ ეს დიდი პერსპექტივის მქონე ინიციატივა.

ცალკე და მეტად საინტერესო თემაა ქართული საზოგადოების სრული გულგრილობა დიმიტრი სანაკოევისა და მისი ადმინისტრაციის მიმართ. უფრო მეტიც, გარკვეული „ექსპერტული“ წრეების მიერ ხდებოდა ამ „პროექტის“ დაკნინების საკმაოდ წარმატებული და მიზანმიმართული მცდელობა. თავისთავად, ასეთი რეაქ-

ცია უფრო ღრმა და ფართო პრობლემის ნაწილია და ქართულ საზოგადოებაში აფხაზეთსა და ცხინვალში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის მიმართ ჩამოყალიბებული პოზიციის არარსებობას ადასტურებს.

არც მაშინ და არც დღეს არ ხერხდება საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება თუ რა პრინციპებზე დაყრდნობით ვიცხოვრებდით აფხაზეთთან და ოსებთან ერთად მომავალ ავტონომიურ, ფედერაციულ სახელმწიფოში.

დავუბრუნდეთ ევროკავშირ/ევროკომისიის მოქმედებებს. ალბათ ამ ეტაპზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის და მისგან გამომდინარე სახელმწიფო სტრატეგიის და საიმპლემენტაციო გეგმის

■ საერთოდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ახალი მთავრობა ცდილობს დღეს გააკეთოს ის, რაც გუშინ არ გააკეთა წინა ხელისუფლებამ. და თუ ეს ასეა, ამ პროცესებზე საზოგადოებრივი კონტროლის დამყარება პირველხარისხოვან ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

გადახედვა. არა იმიტომ, რომ ეს სტრატეგია კარგია, ან უფრო მოქნილი პოლიტიკა არ არის საჭირო აფხაზეთის და ცხინვალის მიმართულებით, არამედ იმიტომ, რომ კანონის შეცვლას წინ უნდა უსწრებდეს ახალი სამოქმედო გეგმის არსებობა და იმ პრინციპებზე შეთანხმება, რომელთა მიხედვითაც ევროპელი, თუ ამერიკელი მეგობრები, გაერო და ასე შემდეგ დაიწყებენ ჩვენი ხელშეწყობით იქ მოქმედებას.

როგორც ჩანს, ასეთი მიდგომის ჩამოყალიბება ახალ მთავრობაში ჯერ კიდევ დროის საკითხია. საერთოდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ახალი მთავრობა ცდილობს დღეს გააკეთოს ის, რაც გუშინ არ გააკეთა წინა ხელისუფლებამ. და თუ ეს

ასეა, ამ პროცესებზე საზოგადოებრივი კონტროლის დამყარება პირველხარისხოვან ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

ცალკე საკითხია შენევის პროცესი. მასზე დიდი აქცენტი კეთდებოდა წინა მთავრობის მიერ. როგორც ჩანს, ახალი მთავრობა შენევის მოლაპარაკებებს კიდევ უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევს და ამბობს, რომ ეს ფორმატი „აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ“, „ეს არის ერთადერთი კონტაქტის საშუალება რუსეთთან“ და ა.შ. ამავ დროს, უნდა გავაცნობიეროთ, რომ შენევის ე.წ. პროცესი შექმნილია მხოლოდ იმისათვის, რომ 2008 წლის 8 აგვისტოსთვის არსებული სიტუაცია გააფორმოს, არც მეტი და არც ნაკლები. შენევის ფორმატმა, პრინციპში, მიაღწია თავის მიზანს და არსებული სიტუაციის წმინდა ტექნიკურ მექანიზმად ჩამოყალიბდა. ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ შენევის პროცესმა უფრო დაკნინებულ და შეზღუდულ ფორმებში გაიმეორა იმ ფორმატების სქემა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ასეთი გამწარებით ებრძოდა წინა წლებში. ლაპარაკია ცხინვალის მიმართულებით ე.წ. „სკკ“-სა და აფხაზეთის მხარეს – საკოორდინაციო საბჭოს ფორმატებზე. ასევე, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ, ფაქტობრივად, გაიმეორა ამ ფორმატების ძირითადი ამოცანები და დაიწყო „ინციდენტების პრევენცია“, ოღონდ ქართველებისათვის ბევრად უფრო მძიმე პირობებში, როდესაც დავკარგეთ ლიახვისა და კოდორის ხეობები.

ეს დეტალები ცნობილი უნდა იყოს ფართო საზოგადოებისათვის. შენევის პროცესის პირველი 5-6 რაუნდი მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, მას შემდეგ, უკაცრავად ჟარგონისათვის, „ნაკატი“ წავიდა, თანაც, როგორც ჩანს, ყველა ჩართული მონაწილის სასიამოვნოდ. ასეთი რეალობის პირობებში, შენევის ფორმატს განვითარების პერსპექტივა, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის, არ აქვს. ამიტომ რუსებთან ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობის მეტი, შენევაში, პრინციპში, არაფერია საკეთებელი. შენევის ფორმატი არის საკოორდინაციო საბჭოს და „სკკ“-ს ფორმატების ფრამგმენტების კრებული, რომელსაც განვითარების რესურსი არ აქვს.

ამავე კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია გარე ზემოქმედებების თემა. რა თქმა უნდა, რეალისტები უნდა ვიყოთ და გავაცნობიეროთ, რომ დამოუკიდებელი გადანყვეტილებების მიღების შეზღუდული შესაძლებლობა გვაქვს. ამიტომ, აუცილებელია ვიცოდეთ, და არა მარტო ვინრო სამთავრობო წრემ, თუ რას გვეუბნებიან დასავლელი მეგობრები. სად არის გავლენის ნივთიერი საზღვრები მათი მხრიდან, რა პირობებით არის გავლენის ნივთიერი საზღვრები, მათ შორის, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში. მაგალითად, ნატო-ს და ევროკავშირის ინტეგრაციის მიმართულებით რატომ არ შეიძლება ჩვენს შემთხვევაში გამოყენებულ იქნას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოდელი, როდესაც ფედერაციული გერმანიის ნატო-ს წევრობა წინ უსწრებდა ქვეყნის ტერიტორიულ და ეთნიკურ-პოლიტიკურ რეინტეგრაციას. რატომ არ განიხილება ასეთი სახის შესაძლებლობა ჩვენთვის? რატომ ვერ გადავდებთ აფხაზეთის და შიდა ქართლის საკითხს, მით უმეტეს, რომ არაღიარების და ოკუპაციის დადასტურება, მეტ-ნაკლებად, ურყევ პოსტულატად ჩამოყალიბდა? ასევე, უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის მხრიდან ყოველთვის და ყველგან გვექნება ხელისშეშლა და ასეთი ბლოკირება არ უნდა დაეცყოს ჩვენს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას.

ასევე, რაღაც ეტაპზე არ უნდა გამოირიცხოს ქართული საზოგადოების განხილვის ფაქტორი. ასეთი განვითარება უფრო საშიში იქნება, ვიდრე ნახევარი მსოფლიოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობა. ასევე, უფრო დეტალურად უნდა ვიცოდეთ, რას შეიძლება აკეთებდნენ დღევანდელი და მომავალი მმართველები „საქართველოს“ წარმომადგენლების სტატუსში, რადგან დემოკრატიული და პერმანენტული ძალაუფლების ცვლილებების პირობებში შემდეგი არჩევნებისთვის ისეთი რამ არ უნდა დაგვხვდეს გაკეთებული, რისი გამოსწორებაც შეუძლებელი იქნება.

საბოლოოდ, ალბათ ჩვენს საერთო ინტერესშია, შევთანხმდეთ, თუ რას ნიშნავს საზოგადოებრივი კონტროლი პოლი-

ტიკური მოლაპარაკებების პროცესებზე. პრინციპში, დემოკრატიული არჩევანის შედეგად ჩამოყალიბებული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი შტოებისთვის მოქმედების დელეგირების აუცილებლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მართლაც, სასაცილო იქნებოდა, რომ თავისუფლად აირჩიო წარმომადგენლობითი ხელისუფლება, რომლის პროგრამულ დებულებებს მხარს უჭერს უმრავლესობა, და ამის შემდეგ მისი ყოველი ნაბიჯი გააკონტროლო. თუმცა, ჩვენს შემთხვევაში, როდესაც

■ ასევე, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რაიმე მყისიერი შედეგის მოლოდინი არ უნდა გვექონდეს და ამ მიმართულებით გადანყვეტილებების მიღება სასწრაფო ჩვენი საზოგადოებისთვის, პრინციპში, არ არის.

ჩვენი არჩევანი დიდწილად ცვლილების დომინანტური სურვილით იყო განპირობებული, საზოგადოების აქტიური ნაწილის, არასამთავრობო სექტორის და განსაკუთრებით მედიის დაუღალავი ზედამხედველობა ამ პროცესებზე აუცილებელია შემდეგი მიზეზების გამო:

1. უმრავლესობით არჩეული ახალი ხელისუფლებისთვის, რომლისთვისაც გარკვეულ ეტაპზე „ხალხთან“ უშუალო აპელირება საჭირო აღარ არის, „ეგზეკუტივები“ უფრო გულადები ხდებიან და შეიძლება ისეთ რამეზე წავიდნენ, რომლის შემობრუნებაც შეუძლებელი იქნება.

2. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ საზოგადოებასთან ახლო კონტაქტი თვით „პოლიტიკური ცხოველების“ ინტერესშიც უნდა იყოს, რადგან ეს მათ მანევრირების დამატებით საშუალებას აძლევს. საჯარო განცხადებები, გაჟონილი თუ მედიის მიერ „შემთხვევით“ მოკვლეული ინფორმაციები სწორედ ამისთვის არის მოგონილი. რა თქმა უნდა, მსგავსი რამ წინა წლებ-

შიც ხდებოდა, მაგრამ გადანყვეტილების მიღების სრული ცენტრალიზაციის გამო, გამოიყენებოდა როგორც მეორადი მნიშვნელობის ინსტრუმენტი.

ალბათ დროა, რომ საზოგადოების მიმართ გახსნილობა, ე.წ. ტრანსფარენტიულობა კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდეს. კრიტიკულ ზღვარად იმ ხაზს მივიჩნევთ, რომლის იქით პოლიტიკოსთა მოქმედებების კონფიდენციალურობის დარღვევაა, რაც არატრანსპარენტულობაზე კიდევ უფრო საშიში შეიძლება აღმოჩნდეს.

ძნელია აწარმოო ასეთი პოლიტიკა? – რა თქმა უნდა. განსაკუთრებით საგარეო ურთიერთობების მიმართულებით. თუმცა, სწორედ ამიტომ, რომ დემოკრატიული არჩევანი პროფესიონალი პერსონალების და არა „პარტიული კოჰორტების“ სამსახურს მოითხოვს.

საერთოდ, ალბათ დროა ვისწავლოთ, რომ სანამ ვინმეს რამეს მივცემთ, გაუხსნით, დავუთმობთ, უნდა ვიცოდეთ, ვინ რას მოგვცემს, დავითმობს და გავგისხნის.

ასევე, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რაიმე მყისიერი შედეგის მოლოდინი არ უნდა გვექონდეს და ამ მიმართულებით გადანყვეტილებების მიღება სასწრაფო ჩვენი საზოგადოებისთვის, პრინციპში, არ არის.

იმის შემდგომ რაც მოხდა, გვაქვს დროის მცირე, მაგრამ მინც რესურსი და კარგი იქნება, თუ ევროკავშირთან და ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში მიღებულ კარდინალურ გადანყვეტილებებს შიდაპოლიტიკური ცხოველების „გრაფიკს“ არ აუწყობთ. **■**



ავტორის შესახებ: მუშაობს გაეროს და აფრიკის კავშირის ერთობლივ სამშვიდობო მისიაში დარფურში. წინა წლებში მუშაობდა ეუთოს მისიებში ტაჯიკეთში, კოსოვოსა და ყირგიზეთში, ასევე გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის მისიებში შუა აზიაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საგარეო საქმეთა სამინისტროში და რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატში.



საპ
306

THE 13th
TBILISI INTERNATIONAL
FILM FESTIVAL

თბილისის
საერთაშორისო
კინოფესტივალი

03 - 09. 12. 2012

www.tbilisifilmfestival.ge



ჩხუბი და სუბსტანციური მოსალოდნელია თუ არა ურთიერთობის დრო?

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა სირთულე მხოლოდ ორი ქვეყნის მეთაურთა პიროვნებებზე არ არის დამოკიდებული.

ვალერი ტუცვევი, კავკასიის საკითხების ანალიტიკოსი, აშშ, მერილენდი

გარე მეთვალყურეთათვის 2012 წლის ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილის კოალიციის გამარჯვების შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის მოსალოდნელი ცვლილებები საქართველოს არჩევნების შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგაა. აქამდე თითქმის ყველა დამკვირვებელი თანხმდებოდა იმ აზრზე, რომ ხელისუფლების ცვლილებას რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება მოჰყვებოდა.

ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდის წევრები რუსეთზე გაცილებით უფრო „რბილ“ ტერმინებში ლაპარაკობდნენ, ვიდრე მათი წინამორბედი, მიხეილ სააკაშვილი. რუსეთის ოფიციალური წრეებიც პოზიტიურ სიგნალებს გზავნიდნენ „ქართული ოცნების“ მისამართით. და მაინც, ქართულ-რუსული დიალოგის დასაწყებად ხელსაყრელი ფონის მიუხედავად, თანამედროვე საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების შანსი მცირეა და სერიოზული საფუძველი არსებობს, ვივარაუდოთ, რომ ორმხრივ ურთიერთობებში ცივი პერიოდი გაგრძელდება. რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა სირთულე მხოლოდ ორი ქვეყნის მეთაურების პიროვნებაზე არაა დამოკიდებული.

მაგალითად, რატომღაც მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, რომ საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კარდინალური შეცვლა რუსეთის მმართველ წრეებს გარკვეულ მუქარად ესახებათ. 12-წლიანი მმართველობის შემდეგ პუტინის პოზიციები ადრინდელივით მყარი ვეღარაა. ხელისუფლების მშვიდობიანი და კონსტიტუციური ცვლილების მექანიზმები რუსეთში უმეტესად დამსხვრეულია. საქართველოს მაგალითი, რომელმაც უჩვენა, რომ ხელისუფლება ქვეყანაში შეიძლება არჩევნების მეშვეობით



ბიძინა ივანიშვილი და ანდერს ფოგ რასმუსენი, ბრიუსელი 2012

იცვლებოდა, რუსული მასშტაბისთვის შეიძლება გადამდები გამოდგეს. შეუძლებელია, მოსკოვში ეს არ ესმოდეთ, ამიტომ ხელისუფლება რუსული ელექტორატისთვის იმის დამტკიცებას მოსინჯავს, რომ საქართველოში ხელისუფლება რუსეთმა შეცვალა და იქ პრორუსული მეთაური მოიყვანა სათავეში, ან საქართველოსგან მტრის ხატის შექმნას ეცდება, რათა რუსეთის პოლიტიკურ პროცესებზე ქართული გავლენა შეძლებისდაგვარად შემცირდეს. არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება მოსალოდნელი არაა.

ბიძინა ივანიშვილის სათაურო პრორუსულობით თავის მოტყუება არ ღირს. სსრკ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილმა მეთაურმა, სსკპ-ს და სსრკ-ს პოლიტიკუ-

როს ნევრმა, საბჭოთა ჩამოსხმის ბიუროკრატმა, ედუარდ შევარდნაძემაც კი ვერ შეძლო საერთო ენის გამოხატვა მისნაირივე წარსულის მქონე რუს კოლეგებთან. ახალ ქართულ და ახალ რუსულ პოლიტიკურ ლიდერებს საერთო მნიშვნელის ძიებაში მეტი პრობლემა ექნებათ. ბოლო ოცი წლის განმავლობაში, როცა რუსეთსა და საქართველოში სმირად სულ სხვადასხვაგვარი ხელისუფლებები იყო, ორი ქვეყანას შორის ურთიერთობა უზინჯო არასდროს ყოფილა. რუსეთსა და საქართველოს შორის კულტურული და ისტორიული სიახლოვის გათვალისწინებით, ძნელია, მათ შორის ამგვარ დაძაბულ ურთიერთობას პარადოქსული არ უწოდო. ყველაზე ზოგადი ხედვით, ამ პარადოქსის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი მოქალაქეების

დამოკიდებულებების ჯამს არც რუსეთი წარმოადგენს და არც საქართველო. იმის მიუხედავად, რომ ორი ქვეყნის მოქალაქეები ერთმანეთის მიმართ ხშირად სიმპათიით არიან განწყობილები, მათი სახელმწიფოების ინტერესები იმდენად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რომ მათ შორის დაძაბულობა და ღია კონფლიქტებიც კი ვერასდროს გამოირიცხება.

გავლენიანმა რუსულმა გამოცემამ, „ნეზა-

შესასრულებელი სურვილია გამოთქმული. პრობლემები მას შემდეგ გამოიკვეთება, როგორც კი შემდეგი კითხვა დაისმის: რა აზრი დევს ფრაზაში „ხელი არ უნდა შეუწყოს რეგიონში დასავლეთის გავლენის ზრდას“ და რას ნიშნავს „რუსეთის ფედერაციის გავლენა ამიერკავკასიაში“? რუსეთი საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე, დასავლეთის მხარდაჭერაზე უარის თქმას სთავაზობს. დასავლეთის მხარდაჭე-

ის არ არის, თითქოს ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებს იარაღით და ამუნიციით სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ამარაგებენ – იმის მიუხედავად, რომ ამნაირ ბრალდებებს მათ ხშირად უყენებს რუსეთის სპეცსამსახურები. საქმე ისაა, რომ რუსეთის სამხრეთით დამოუკიდებელი ქვეყნების არსებობა ჩრდილოკავკასიელებისთვის დამოუკიდებლობაზე ფიქრის მიზეზი და სტიმულია. რაც მეტად აყვავებული, რუსული სახელმწიფოს ჭირვეულობისაგან რაც მეტად დამოუკიდებელი იქნება ქართული სახელმწიფო, მით მეტი ადამიანი იფიქრებს ჩრდილოეთ კავკასიაში, რომ რუსეთის ფედერაციის ფარგლებში ცხოვრება არც ისე პერსპექტიულია. და პირიქით, რაც უარესია სიტუაცია საქართველოში, მით უფრო სუსტია ჩრდილოეთკავკასიელების სტიმული, რუსეთისგან გამოყოფაზე იოცნებონ. ძნელი მისახვედრი არაა, რომ რუსეთის და საქართველოს ინტერესები ამ ეტაპზე კარდინალურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. რუსეთს არ სჭირდება განვითარებული, თავისუფალი, აყვავებული, დემოკრატიული საქართველო – ასეთი ქვეყანა მის ჩრდილოკავკასიურ პოლიტიკას გამანადგურებელ ხიფათს უქმნის. ანუ, ლაპარაკია საქართველოსა და რუსეთს შორის ეგზისტენციურ კრიზისზე, რომელშიც ფსონებზე ძალიან ბევრია დადებული, და პოლიტიკური ფიგურების ცვლა ორი ქვეყნის სტრატეგიული კურსის ცვლილების გარეშე მათ შორის სერიოზულ, გრძელვადიან ცვლილებას ვერ გამოიწვევს.

■ საკუთარი მოქალაქეების დამოკიდებულებების ჯამს არც რუსეთი წარმოადგენს და არც საქართველო. იმის მიუხედავად, რომ ორი ქვეყნის მოქალაქეები ერთმანეთის მიმართ ხშირად სიმპათიით არიან განწყობილები, მათი სახელმწიფოების ინტერესები იმდენად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, რომ მათ შორის დაძაბულობა და ღია კონფლიქტებიც კი ვერასდროს გამოირიცხება.



ვისიმაია გაზეტამ“ 2012 წლის 4 ოქტომბრის სარედაქციო წერილში რუსეთის ინტერესებს საქართველოში ამნაირი ფორმულირება მისცა: „მოსკოვს, რომ განვაზოგადოთ, საქართველოსგან მხოლოდ ერთი რამე უნდა: რომ საქართველომ რუსეთის ფედერაციის მისი ტრადიციული გეოპოლიტიკური ინტერესების ზონაში – ამიერკავკასიაში გავლენის შენარჩუნებაში ხელი არ შეუშალოს. მარტივი ენით რომ ვთქვათ: არანაირი ნატო, არანაირი უცხოური სამხედრო ბაზები; საქართველომ უარი უნდა თქვას ჩრდილოკავკასიური სეპარატიზმის მხარდაჭერაზე; ჯამში – ხელი არ უნდა შეუწყოს რეგიონში დასავლეთის გავლენის ზრდას, სხვა დანარჩენს შორის, მსხვილი ეკონომიკური პროექტების განხორციელებაში“. თითქოს მოსკოვის მხრიდან მკაფიო, საქართველოსთვის ადვილად

რა საქართველოსთვის მისი პოლიტიკური თვითმყოფადობის მხარდაჭერაა. კი, მაგრამ, რას სთავაზობს რუსეთი საქართველოს ამის ფასად? ამ კითხვაზე პასუხის გამოცნობა ძნელი არაა, თუ საქართველოს დასავლელი მეგობრების გარეშე წარმოვიდგინებთ. ეს იქნება გამოკვეთილი შიდა და საგარეო პოლიტიკის უქონელი ქვეყანა, რომლის არსებობა რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი არაოფიციალური პროვინციისა და დემსგავსება, და, ყველაზე მთავარი: საკუთარი ბედის განკარგვის შესაძლებლობას გამოეთხოვება.

არაერთი ანალიტიკოსი, მათ შორის, რუსებიც, მიუთითებენ, რომ ისტორიულად რუსეთს არასდროს შეეძლო ჩრდილოეთ კავკასიის გაკონტროლება სამხრეთ კავკასიის კონტროლირების გარეშე. რაკ ეს ვთქვით, ბარემ სათქმელი დავასრულოთ. საქმე ხომ

ეს ყველაფერი არ ნიშნავს, რომ საქართველოს და რუსეთის ურთიერთობა მუდმივი დაპირისპირებისთვისაა განწირული. უფრო იმაზეა ლაპარაკი, რომ ორმხრივ ურთიერთობებში რამენაირი სერიოზული, გრძელვადიანი გაუმჯობესება მოსალოდნელი ახლა არაა და არსებული დაძაბულობის მცირე, ნაკლებად მტკივნეულ საკითხებზე კონცენტრირება, მათ მოგვარებაზე ფიქრი უფრო გონივრული იქნება. **■**



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



მადნეული – იაფი საბანძუხი

ცირა გვასალია



ფოტო RICH METALS GROUP

2004 წელს მოსკოვში, კობა ნაყოფიას ოფისში, საქართველოდან ზარი გაისმა. ეკონომიკის მაშინდელი მინისტრი, კახა ბენდუქიძე რუსეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენს საქართველოში ეპატიუებოდა.

„თავიდან კახა ბენდუქიძის მდივანი დამელაპარაკა. მითხრა, თბილისიდან, ეკონომიკის სამინისტროდან გირეკავთო.

შემატყობინა, რომ მინისტრს ჩემთან საუბარი სურდა. ბენდუქიძემ მითხრა, რომ რალაც საკითხებზე უნდოდა ჩემთან დალაპარაკება და კარგი იქნებოდა, თუ საქართველოში ჩამოვიდოდი“, – ამბობს კობა ნაყოფია.

„არცკი ვიცოდი, „მადნეული“ რა იყო, პირველად გავიგე – მე ხომ მაშინ მოსკოვში ვიყავი, – იხსენებს ნაყოფია, – თუმ-

ცა, ურთიერთობა ბევრ რუსულ ანალოგიურ კომპანიასთან მქონია, გნებავთ, სამთო მეტალურგიულებთან. ზოგადად, ვიცოდი, რომ პოსტსაბჭოურ სისტემებში საწარმოებს ერთნაირი პრობლემები ჰქონდათ: ტექნოლოგია და მართვის სტილი მსგავსი იყო“.

კობა ნაყოფია, რომელიც წარმოშობით აფხაზეთიდანაა, მოსკოვში 1993 წელს,

დენილობის პერიოდში გადავიდა. როგორც თვითონ იხსენებს, პირველი მოგება ლურსმნების ყიდვა-გაყიდვით მიიღო.

2000 წელს ერთ-ერთ ბიზნეს-შეხვედრაზე კობა ნაყოფია სერგეი გენერალოვს შეხვდა. რუსეთის ნავთობისა და ენერჯეტიკის სამინისტროდან ახალნაშობულ გენერალოვს საკუთარი კომპანია ჰქონდა და ნახშირის ბიზნესში იყო ჩართული. მალე გენერალოვმა ნაყოფიას ახლად დაარსებულ კომპანია Promishlenie Investor-ში ვიცე-პრეზიდენტობა შესთავაზა.

მოულოდნელ წინადადებაზე ერთი

ლი მინისტრი კახა ბენდუქიძე მიიჩნევდა და დღესაც მიიჩნევს, რომ სანარმოს მენეჯერად არა სახელმწიფო, არამედ კონკრეტული ინვესტორი უნდა ჰყავდეს; სახელმწიფოს როლი კი მენარმეობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა უნდა იყოს.

„მთავრობის მიერ 2004 წელს მიღებული გადაწყვეტილება, რომ ჩვენ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის გზით მივიღოთ, ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო“, – ამბობს დღეს კახა ბენდუქიძე.

თბილისიდან სამხრეთით, 80 კილომე-

სანარმოს მაშინდელი გენერალური დირექტორი ვასილ ცოტაძე შეცვალა და სანარმოს საპრივატიზაციოდ მზადება დაიწყო – ნაყოფიას გარემოსდაცვითი პრობლემების მქონე და ვალეებში მყოფი, თუმცა კარგი პოტენციის მქონე სანარმო ინვესტორებისთვის მიმზიდველი უნდა გაეხადა.

პრივატიზების პროცესი

2005 წლის მაისში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ 97,25 პროცენტის და შპს „კვარციტის“ 50 პროცენტის ყიდვით დაინტერესებული ინვესტორები მოიწვია.

თავიდან სანარმოთი 21 ქართული თუ უცხოური კომპანია დაინტერესდა. საბოლოოდ კი კონკურსში მონაწილეობა ორმა კომპანიამ – Stanton Equitize Corporation-მა და Energy and Industry Complex-მა მიიღო.

Energy and Industry Complex-ის უკან ქართველი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის ინტერესები იდგა.

Stanton Equitize Corporation-ი რუსული – კობა ნაყოფიას ყოფილი პარტნიორის, სერგეი გენერალოვის – კომპანიის „პრომიშლენი ინვესტორის“ შვილობილი კომპანია აღმოჩნდა, რაც მხოლოდ პრივატიზების შემდეგ გაირკვა.

ყოფილ ბიზნეს-პარტნიორს, სერგეი გენერალოვს კობა ნაყოფიამ კომპანიის პრივატიზება თვითონ შესთავაზა.

„თავიდან არცკი ვფიქრობდი, რომ „პრომიშლენი ინვესტორისთვის“ შემთავაზებინა ეს კომპანია საპრივატიზაციოდ“, – ამბობს ნაყოფია. „მადნეულში“ რომ დავინყე მუშაობა, მაშინ დავინახე, რომ ძალიან საინტერესო ბიზნესი იყო. ერთ-ერთ შეხვედრაზე, სერგეი გენერალოვს პრივატიზებაში მონაწილეობა შეთავაზე“.

2005 წლის პირველ ნოემბერს კონკურსის გამარჯვებულად Stanton Equitize Corporation-ი გამოცხადდა.

დღეს გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმზე სხვადასხვა პოზიცია აქვთ ორივე კომპანიის წარმომადგენლებს.

ეკონომიკური განვითარების მაშინდელმა მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ,

■ 2004 წელს მოსკოვში, კობა ნაყოფიას ოფისში, საქართველოდან ზარი გაისმა. ეკონომიკის მაშინდელი მინისტრი კახა ბენდუქიძე რუსეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენს საქართველოში ეპატიუებოდა.

თვის ფიქრის შემდეგ, კობა ნაყოფიამ მოსკოვში საკუთარი პატარა ბიზნესები გაყიდა და გენერალოვის შემოთავაზებას დასთანხმდა.

სწორედ გენერალოვთან მუშაობდა ნაყოფია, როცა კახა ბენდუქიძის წინადადებით, საქართველოში დაბრუნდა.

კახა ბენდუქიძემ ნაყოფიას ასარჩევად ორიდან ერთ-ერთი კომპანიის – „ჭიათურმანგანუმის“ ან „მადნეულის“ – დირექტორობა შესთავაზა.

ნაყოფია იხსენებს, რომ მის გარდა, „მადნეულის“ დირექტორობაზე ორი სხვა კანდიდატიც იყო წარდგენილი, მათ შორის ერთ-ერთი – დიმიტრი კალანდაძე – სანარმოს ახლანდელი დირექტორია.

მზადება „მადნეულის“ პრივატიზებისთვის

ნაყოფია საქართველოში 2004 წელს ჩამოვიდა. ეს ის დრო იყო, როცა პოსტრევოლუციურ საქართველოში ახალმა მთავრობამ სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი დიდი სანარმოების მენეჯმენტის საკუთარი ხედვა შეიმუშავა.

ეკონომიკური განვითარების მაშინდელ-

ტრს თუ გაივლით, პატარა სოფელ კაზრეთს მიადგებით.

დაახლოებით 50 წლის წინ, ახლანდელი კაზრეთი უკაცრიელი იყო. სოფელი აქ სამთო-გამამდიდრებელ კომბინატ „მადნეულის“ ამუშავების შემდეგ გაჩნდა – ძირითადად, სანარმოში დასაქმებული ხალხი დასახლდა.

კაზრეთელებისთვის „მადნეული“ ყოველთვის წარმოადგენდა ურთიერთგამომრიცხავი მნიშვნელობის მქონე სანარმოს: დესტრუქციულს და მარჩენალს.

დესტრუქციულს იმიტომ, რომ ადგილობრივ ჰაერს, წყალსა და ნიადაგს წლების განმავლობაში აბინძურებდა. მარჩენალს იმიტომ, რომ დასაქმების ადგილი იყო.

სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის პირველადი პროდუქტი სანარმომ 1957 წელს გამოუშვა. თუმცა, წლების განმავლობაში, სანარმოში გამეფებული არასწორი მართვის გამო, სანარმოში ვალეები გაჩნდა.

„მადნეულის“ სამეთვალყურეო საბჭომ კობა ნაყოფია საქართველოში დაბრუნების შემდეგ დირექტორად აირჩია. მან

საკუთარი ბრძანებით, გამარჯვებულის გამოსავლენად ორი მთავარი კრიტერიუმი დასახელა: მაქსიმალური გასაყიდი ფასი და „საკონკურსო პირობების შესრულება“, მათ შორის, „მადნეულის“ საქმიანობის პროფილის შენარჩუნება 3 წლის განმავლობაში, დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა და სახელფასო ფონდის შენარჩუნება არანაკლებ 3 წლის განმავლობაში და გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის აღმოფხვრა.

სანარმო „საქართველოს ბანკმა“ შეაფასა, რაც საფუძვლად დაედო კომპანიის სანყის ფასს – 32 500 000 აშშ დოლარს. გარდა ამისა, სანარმოს ვალი ამ დროს 16 მილიონ დოლარს შეადგენდა.

სანარმოსთვის კონვერტიტ გაგზავნილ შეთავაზებაში ორივე კომპანია ეკონომიკის სამინისტროს საკუთარ პირობებს სთავაზობდა.

Energy and Industry Complex-ი აქციებში 36.000.126 აშშ დოლარს იხდიდა, Stanton Equitize Corporation-ი – 35.100.000 აშშ დოლარს.

ფასთა სხვაობით – 900 126 დოლარით მეტს – Energy and Industry Complex-ი იხდიდა.

დადგენილი კრიტერიუმით, ამ კომპანიას უნდა გაემარჯვა. თუმცა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამარჯვებულად მაინც ის კომპანია აარჩია, რომელიც აქციებში ნაკლებს იხდიდა.

საპრივატიზაციო პაკეტში Stanton Equitize Corporation-ი მზად იყო 16 მილიონი დოლარის ვალები სრულად გაესტუმრებინა, ხოლო Energy and Industry Complex-ი ვალებში 8.6 მილიონ ლარს იხდიდა.

კახა ბენდუქიძე ასე ხსნის Stanton-ის გამარჯვებას:

„კონკურსის“ პირობა იყო არა მარტო ფულის გადახდა კომპანიის 100%-იან ნილში, ასევე მისი საგადასახადო დავალიანების დაფარვა“, – ამბობს ბენდუქიძე. მინისტრის ბრძანებაში, სადაც საუბარია გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებზე, ვალი, როგორც გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი, ნახსენები არ არის.

კობა ნაყოფია ამტკიცებს, რომ „გა-

„ისტორიული დაბინძურება“

პრივატიზების მომენტში, სანარმოს გარემოსდაცვითი აუდიტი არ მომხდარა. გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით კი, აქამდე გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა მოეხსნა.

ტერმინი „ისტორიული დაბინძურება“ 2004 წელს დამკვიდრდა. ამ ტერმინის თანახმად, სანარმოს ახალი მფლობელები პასუხს არ აგებდნენ წარსულის დაბინძურებაზე.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ანგარიში დიდი სანარმომების პრივატიზების შესახებ ამბობს, რომ ასეთი გადაწყვეტილება ქართულ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში წერია, რომ „პრივატიზებული სამეურნეო ობიექტის მესაკუთრე არ თავისუფლდება იმ გარემოსდაცვითი ვალდებულებებისგან, რომელიც დაკისრებული ჰქონდა სამეურნეო ობიექტის ყოფილ მესაკუთრეს, – ნათქვამია ანგარიშში, – ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უხეშად დაარღვია კანონი, როდესაც სანარმოს ახალ მფლობელებს ძველ დაბინძურებაზე პასუხისმგებლობა მოუხსნა“.

ვინ აგებს პასუხს სანარმომების წარსულ დაბინძურებაზე?

„საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას სანარმომების პრივატიზების შემდგომ ვის გადაეცა ისტორიულ დაბინძურებაზე პასუხისმგებლობა“, – ასე უპასუხა ჟურნალისტის კითხვას ეკონომიკის სამინისტრომ.

საყიდ ფასში“ მხოლოდ აქციების გამოსყიდვა არ იგულისხმებოდა, არამედ ვალის გადახდაც.

„კონკურსის პირობებში ეწერა, რომ კომპანიას ვალი აქვს, – ამბობს ნაყოფია, – გამოსასყიდი ფასი კი ნიშნავს აქციების ფასს პლუს ვალდებულება“.

Energy and Industry Complex-ის მაშინ-

დელი იურისტები – პაატა კიკნაველიძე და ირაკლი მგალობლიშვილი – ფიქრობენ, რომ მათი ადვოკატირების ქვეშ მყოფი კომპანია დაიჩაგრა, ვალების თემის ინტერპრეტირება კი არასწორად მოხდა.

ირაკლი მგალობლიშვილი აცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, Energy and Industry Complex-ი სანარმოს ვალებს სრულად გადაიხდიდა.

„ბუნებრივი იყო, რომ ვინც შეიძენდა სანარმოს, ვალებით შეიძენდა. ვალების გადახდა ცალკე პირობად არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო“, – ამბობს მგალობლიშვილი.

იურისტი იმ წერილსაც იხსენიებს, რომელიც კომპანიამ ეკონომიკის სამინისტროს 2005 წლის 26 ოქტომბერს, საპრივატიზაციო პაკეტების გახსნის შემდეგ, გაუგზავნა.

წერილში წერია, რომ Energy and Industry Complex-ი მზადყოფნას აცხადებდა როგორც „სახელმწიფოს, ისე კერძო კრედიტორთა წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვაზე“.

ბადრი პატარკაციშვილის ინტერესების გამომხატველი კომპანია Energy and Industry Complex-ი სასამართლოში ჩივილს აპირებდა და სასარჩელო განცხადებაც შეადგინა. თუმცა, შემდეგ პატარკაციშვილმა სასამართლოში ჩივილი გადაიფიქრა და მის იურისტებს სარჩელი არ შეუტანიათ.

იურისტები ირაკლი მგალობლიშვილი და პაატა კიკნაველიძე ამბობენ, რომ ბიზნესმენს მათთვის ჩივილის გადაფიქრების მიზეზი არ უთქვამს.

ბასაყიდი ფასი

„მადნეულის“ რეალური ფასის გასაგებად საჭირო იყო ფინანსური, გარემოსდაცვითი და დეპოზიტების აუდიტები.

პრივატიზებამდე ეს აუდიტები ადგილზე არ იყო.

საბოლოოდ, „მადნეულის“ სანყის ფასად „საქართველოს ბანკმა“ 32 500 000 დოლარი გამოითვალა.

კობა ნაყოფია ამბობს, რომ სანარმოს სანყის ფასი იმ მონაცემებზე დაყრდნობით შეფასდა, რაც იმ დროისთვის არსებობდა.

ქურნალისტური გამოძიება

ივანე მაჭავარიანის თქმით, რომელიც „კვარციტში“ 2004-2005 წლებში მუშაობდა, საწარმოს რეალური ფასის დასადგენად საჭირო საფინანსო, სადეპოზიტო და გარემოსდაცვითი აუდიტები პრივატიზებამდე არ ჩატარებულა.

„აუდიტი არა მხოლოდ ფინანსურ მდგომარეობას შეამოწმებდა, არამედ საწარმოს დეპოზიტების რეალურ შესაძლებლობებზე დადებდა გადამოწმებულ პასუხს“, – ამბობს ივანე მაჭავარიანი.

ამას ადასტურებს ირაკლი მგალობლიშვილიც, რომელიც პრივატიზების

გადანყვეტილება, რომ საწარმო მიეყიდათ „პრომიშლენი ინვესტორის“ დირექტორებისთვის, შესრულდა იმ ფასად, რაც ამ კომპანიას ანეობდა“, – ამბობს მაჭავარიანი.

მაჭავარიანი ასევე ახსენებს ფაქტს, რომელიც, მისი აზრით, საწარმოში ინტერესთა კონფლიქტზე მიანიშნებს – პრივატიზების შემდეგ, ეკონომიკური განვითარების ყოფილმა მინისტრმა – ირაკლი ჩოგოვაძემ GeoProMining-ის სამეთვალყურეო საბჭოში დაინყო მუშაობა.

GeoProMining

■ ზუსტად ვერავინ ასახელებს, თუ რა ოდენობის ინვესტირება ჩადო GeoProMining-მა ქართულ სამთო ბიზნესში და მის განვითარებაში.

დროს Energy and Industry Complex-ს წარმოადგენდა. ის ამბობს, რომ საჭირო აუდიტი პრივატიზებამდე მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო.

აუდიტებიდან ერთ-ერთი – გარემოსდაცვითი აუდიტი – კომპანიის პრივატიზებიდან ერთ წელიწადში, 2006 წელს ჩატარდა.

ნაყოფიას თქმით, პრივატიზებამდე აუდიტი იმიტომ არ ჩატარდა, რომ სახელმწიფოს ცოტა დრო ჰქონდა და ჯობდა, რომ აუდიტი ინვესტორს შემდგომ ჩაეტარებინა, ვიდრე სახელმწიფოს, რომელსაც აუდიტების ჩატარების ფინანსური შესაძლებლობა არ ჰქონდა.

გარდა ამისა, მისი თქმით, თუნდაც გარემოსდაცვითი აუდიტი საწარმოს ფასს მნიშვნელოვნად ასწევდა და შესაძლებელია, უკვე ინვესტორისთვის საინტერესო არ ყოფილიყო.

ლიცენზიები და ინტერესთა კონფლიქტი

პრივატიზების დროს ინტერესთა კონფლიქტზე საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს ივანე მაჭავარიანი, რომელიც „კვარციტში“ 2004-2005 წლებში მუშაობდა.

„კახა ბენდუქიძის და კობა ნაყოფიას

ზუსტად ვერავინ ასახელებს, თუ რა ოდენობის ინვესტირება ჩადო GeoProMining-მა ქართულ სამთო ბიზნესში და მის განვითარებაში.

კობა ნაყოფია ამბობს, რომ მთავარი მიღწევა საწარმოო მოცულობის გაზრდა იყო, რაც მეტი ადამიანის დასაქმებას და ბიუჯეტში მეტი გადასახადის გადახდასაც გულისხმობს.

საწარმოს სტატისტიკით, 2002-2012 წლების ჩათვლით, „მადნეულმა“ და „კვარციტმა“ ბიუჯეტში 271,334,782.18 ლარი გადაიხადა, სოციალურ პროექტებზე კი 14 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა.

ნაყოფია ამბობს, რომ GeoProMining-ის სტრატეგიული მიზანი ტრანსნაციონალური განვითარება იყო, ვიდრე მხოლოდ საქართველოს საბადოების განვითარება.

წინა მენეჯმენტის გეოგრაფიული განვითარებისკენ პირველი ნაბიჯი სომხური აქტივებისა და საბადოების შექმნა გახდა. ქართული პოტენციალის განვითარებისთვის კი ფინანსური შესაძლებლობები არ რჩებოდა.

„მინდოდა მეტი განვითარება ჰქონოდა ქართულ აქტივებს, რაც რეალურ





ფოტო RICH METALS GROUP

რად, ამ პერიოდისთვის, არ ხორციელდებოდა, – ამბობს კობა ნაყოფია, – ხშირად მესმოდა, რომ „მადნეული“ მალე მოკვდება და ეს ჩემთვის ადვილი მოსასმენი არ იყო. ასე დადგა პერიოდი, რომ მე და ჩემი პარტნიორი გავიყარეთ“.

GeoProMining-ის აქციონერებმა, ანუ წინა მენეჯმენტმა სანარმოს ქართული აქტივები 2012 წლის ივნისში, 120 მილიონ აშშ დოლარად გაყიდეს.

კომპანიის ახალი ინვესტორები რუსი ბიზნესმენები დიმიტრი ტროიციკი და დიმიტრი კოჟრევი გახდნენ. რუსი მილიონერები სტუდენტობის წლებიდან ბიზნეს-პარტნიორები არიან და სამთო მოპოვების გამოცდილება აქვთ სომხეთში.


სახელები შეეცვალათ კომპანიებსაც. სააქციო საზოგადოება „მადნეულს“ Rich Metal Copper-ი ჰქვია, შპს „კვარციტს“ კი – Rich Metals Gold-ი.

ახალი მენეჯმენტის გარემოსდაცვითი მიმართულების ხელმძღვანელი, მიხეილ კვარაცხელია ამბობს, რომ დეკემბრის ბოლოს, სანარმო გრძელვადიან გარემოსდაცვით პროგრამას შექმნის და გარემოს დაცვის სამინისტროს წარუდგენს.

ერთი ლიცენზია, რომელიც ენერგეტიკის სამინისტრომ აუქციონზე 2011 წლის ოქტომბერში გაიტანა, „კავკასიის სამთო ჯგუფმა“ 93ს.5 მილიონ ლარად შეიძინა. სამინისტროს მიერ გაყიდული მეორე ლიცენზია „მაინინგ ინვესთმენტმა“ 110 მილიონ ლარად შეიძინა.

„კავკასიის სამთო ჯგუფს“, „მაინინგ ინვესთმენტს“ და Rich Metals Group-ს ერთი და იგივე მფლობელი ჰყავს. თავის დროზე ეს ორი კომპანია იმისთვის შეიქმნა, რომ ლიცენზიები მომავალ ინვესტორს შეესყიდა.

„მადნეულის“ ყოფილი დირექტორი კობა ნაყოფია კი ისევ თანამშრომლობს სანარმოს ახალ მენეჯმენტთან – Rich Metal Group-თან.

„მე ვარ ახლანდელი მენეჯმენტის პარტნიორი, მაგრამ როგორც პარლამენტარს, არ მაქვს წილების მართვის უფლება, – ამბობს ნაყოფია, – ამიტომ, ჩემი შეილია ამ წილების მმართველი“. 

ტელეკომპანია "მზე" ნაციონალური ორბიტაზე

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქართულ მედია ბაზარზე ტელეკომპანია „მზის“ ყოფილი მფლობელი ვანო ჩხარტიშვილი გამოჩნდა. ჩხარტიშვილი „მზის“ სასამართლოს გზით დაბრუნებასთან ერთად, ახალი ტელევიზიის დაფუძნებასაც გეგმავს.

ლაშა ქავთარაძე



მზერა TV

ახალი ტელეკომპანია „მზერა TV“ მაუწყებლობას მომავალი წლის გაზაფხულიდან გეგმავს. ამ ახალ ტელევიზიას ჯერ ოფისიც კი არ აქვს, თუმცა უკვე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა გუნდის ჩამოყალიბებასა და საინფორმაციო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავებაზე. „მზერა TV“-ის დამფუძნებელი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილია, რომელიც დღეს ხელისუფლებას კიდევ ერთ ტელევიზიას – „მზეს“ ედავება.

ვიდრე „მზე“-სთან დაკავშირებული სასამართლო დავა გრძელდება, „მზერა TV“-ის პროგრამები ტელეკომპანია „გურიის“ ეთერში გავა. როგორც სამენარმეო რეესტრის მონაცემებით ირკვევა, 14 ნოემბერს „გურიის“ 51 პროცენტი ვანო ჩხარტიშვილის შვილის მფლობელობაში არსებულმა კომპანია „მზერა TV“-მ 51 ათას ლარად უკვე შეიძინა.

ახალი ტელევიზიის ოფისი აეროპორტის გზაზე შენდება. „მზის“ თანადამფუძნებლის და ყოფილი გენერალური დირექტორის, ელდარ მდინარაძით თქმით, უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ცნობილ ჟურნალისტებთან, რომლებიც მომავალში „მზერა TV“-სთან ითანამშრომლებენ.

მდინარაძის თქმით, ეთერში სხვადასხვა ცნობილ სახესთან ერთად მაყუ-



ილუსტრაცია: თამარ ნაზაროშვილი / პირატი

რებელი ჟურნალისტი ინგა გრიგოლიას და საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ახლახან წამოსულ ვახო სანაიასაც იხილავს.

გრიგოლია რამდენიმე დღის წინ ლონდონში, ჩხარტიშვილთან კონსულტაციებისთვისაც კი იყო ჩასული. მას „მზერაზე“ პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანობას სთავაზობდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, მოლაპარაკება არ შედგა, რადგან „ლიბერალთან“ საუბარში გრიგოლიამ განაცხადა, რომ „მზერასთან“ თანამშრომლობას არ აპირებს. „ძალიან ცოტა დროა გასული, რაც პოლიტიკიდან წამოვედი და ამ ეტაპზე ვამჯობინებ სახლში ვიყო“, – აღნიშნა მან.

როგორც „მზერა TV“-ში აცხადებენ, კონსულტაციები მიდის ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილ ტელესახესთან ნინო თოლორდავასთანაც, თუმცა, მისი გადასვლის საკითხი ამ ეტაპზე საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

უკვე დანამდვილებით ცნობილია რამდენიმე ადამიანი, რომელიც ჩხარტიშვილის ახალ ტელევიზიაში იმუშავებს. მათ შორისაა ჟურნალისტი სოფო მოსიძე, რომელიც ტელეკომპანია „მზეში“ 2005 წლამდე მუშაობდა. ის არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი და მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანი იქნება. მისი თქმით, „მზერას“ ამბიციური მიზნები აქვს – ის იქნება მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ტელევიზია, რომელსაც ექნება როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო ბიუროები. დაგეგმილია თანამშრომლობა რუსულ ტელეკომპანია „დოჟდთან“. მოსიძე ამბობს, რომ „დოჟდის“ მსგავსად „მზერაც“ უამრავ ექსპერიმენტს შესთავაზებს მაყურებელს. უკვე მუშავდება საინფორმაციო კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, პირველად ქართულ ტელესივრცეში, საინფორმაციო გამოშვებები საავტორო-ანალიტიკური სტილის იქნება. ამას გარდა, დაწესდება ე.წ. ასაკობრივი ცენზი, რომლის მიხედვითაც ტელეწამყვანების ასაკი მინიმუმ 30 წელი იქნება.

სოფო მოსიძის თქმით, დღეს კარგი დროა, რომ მედიაბაზარზე გამოჩნდეს პროდუქტი, რომელიც დაბალანსებული იქნება და მიუკერძოებლად გააკრიტიკებს

ვანო ჩხარტიშვილის ბიოგრაფია



ბადრი პატარკაციანი **დაახლოებული ბიზნესმენი – ვანო ჩხარტიშვილი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ 90-იან წლებში მოექცა, როდესაც ის საქართველოს შემნახველი ბანკის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, მოგვიანებით კი მისი პრეზიდენტი და „ახალი ქართული ბანკის“ დირექტორი გახდა. ჩხარტიშვილი 2000 წელს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრად დაინიშნა და თანამდებობა 2001 წელს სახალხო მლელვარების ფონზე დატოვა, როდესაც დემონსტრანტები ეკონომიკისა და შს მინისტრების გადადგომას ითხოვდნენ. 2004 წელს ჩხარტიშვილი საქართველოს პარლამენტის წევრიც გახდა და ფრაქცია „დამოუკიდებელ მაჟორიტარებს“ ხელმძღვანელობდა.**

ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც.

„დღეს ტელეკომპანიების ნაწილი პროსახელისუფლებოა, ნაწილი კი ოპოზიციის მომხრე. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მათ ერთმანეთის კარში გააქვთ გოლები, ჩვენ კი გადავწყვიტეთ ვიყოთ ერთგვარი მესამე კუნძული, რომელიც არცერთ ძალაზე არ იქნება დამოკიდებული და იმის მორალური უფლება და შესაძლებელი იქნება, რომ თანაბრად აკრიტიკოს ყველა პოლიტიკური სუბიექტი“, – ამბობს იგი.

ამ ახალი ტელევიზიის პროექტს, რამდენიმე თვის წინ ჩხარტიშვილის მიერვე ლონდონში დაარსებული მულტიპლატფორმული საიტის – mzero.tv-ის პროექტი შეენირა.

ტელეკომპანია „მზის“ დაბრუნებასთან დაკავშირებული პროცესების წამოწყების პარალელურად, ჩხარტიშვილმა ლონდონში ინტერნეტტელევიზია mzero.tv დააფუძნა. mzero.tv-ის უნდა მოემზადებინა კონტენტი პარტნიორი არხებისათვის. „მზის“ დაბრუნების შემდეგ კი ეს პროექტები ერთ მთლიან პროექტში უნდა გაერთიანებულიყო.

mzero.tv-მ მუშაობა 19 სექტემბერს დაიწყო. ლონდონის ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელი ნათია აბრამია, რომელიც ამჟამად BBC-ში მუშაობს, ამბობს, რომ ის-ის იყო ტექნიკური პრობლემები მოაგვარეს და შინაარსის დახვეწაზე დაიწყო ფიქრი, როდესაც გამოუცხადეს, რომ პროექტი შეჩერებულია. დახურეს ლონდონის ბიურო და გაათავისუფლეს ქართული ბიუროს თანამშრომლებიც.

მისი თქმით, თვეების განმავლობაში განერილი და ჩამოყალიბებული გეგმების ერთ დღეში შეცვლა არასერიოზული და არაპროფესიონალური ნაბიჯია.

„უშუალოდ ბატონი ვანო ძალიან კონკრეტულად და ხაზგასმით ამბობდა, რომ ეს არც საარჩევნო და არც მოკლევადიანი პოლიტიკური პროექტი არ იყო. არც მე და არც რომელიმე სხვა თანამშრომელი ამ პროექტში არ ჩავებმებოდით, რომ გვეცოდნოდა, რომ ასეთი მოკლევადიანი იქნებოდა ჩვენი თანამშრომლობა „მზერასთან“, – ამბობს ნათია აბრამია.

ვანო ჩხარტიშვილის პრესმდივნის, გიორგი გიორგაძის თქმით, mzero.tv-ს ლონდონის ბიუროს დახურვა ახალი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე მოხდა. „ჟურნალისტიკის კეთება დღეს უკვე საქართველოშიც შეიძლება“, – აღნიშნავს გიორგაძე.

„შეიძლება „საერთაშორისო ქართულენოვანი არხი“ და მოვლენების მიუკერძოებელი გაშუქება ჩხარტიშვილის მხოლოდ მაშინ აწყობდა, თუკი მმართველობაში სააკაშვილის რეჟიმი დარჩებოდა. ახალ რეალობაში მას ახალ ხელისუფლებასთან ახალი პირობებით სჭირდება ურთიერთობის დაწყება“, – ამბობს ნათია აბრამია „ლიბერალთან“ საუბრისას, თუმცა იმედს გამოთქვამს, რომ „მზერა TV“, საკმარისად ობიექტური და მფლობელისაგან დისტანცირებული იქნება.

ბრძოლა „მზისთვის“

მთავარი ბრძოლა, რომელსაც ქართულ მედია სივრცეში დაბრუნებული ვანო ჩხარტიშვილი გეგმავს, ტელეკომპანია „მზეს“ უკავშირდება, რომელიც, მისი თქმით, სააკაშვილის ხელისუფლებამ უკანონოდ წაართვა.

საქართველოდან ლონდონში ემიგრირებული მა ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა, ტელეკომპანია „მზის“ დასაბრუნებლად ბრძოლა 2012 წლის ივნისში დაიწყო. 19 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე ჩხარტიშვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ ტელეკომპანიის დასაბრუნებლად ქართულ და საერთაშორისო სასამართლოებში სარჩელი ერთდროულად შევიდოდა.

მეორე პრესკონფერენცია ჩხარტიშვილის ადვოკატებმა უკვე ნოემბერში – ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გამართეს. ჩხარტიშვილის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნია 13 ნოემბერს განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც ვანო ჩხარტიშვილმა ტელეკომპანია „მზის“ დასაბრუნებლად ბრძოლა დაიწყო, გააქტიურდნენ ის ადამიანები, რომლებიც 2004-05 წლებში ტელეკომპანიის ჩამორთმევის საქმეში იყვნენ ჩართულები. გაბუნიას თქმით, დღეს გიგი უგულავა, დავით კეზერაშვილი და ბადრი პატარკაციშვილის ქონების მმართველი ირაკლი რუხაძე ცდილობენ, დაარწმუნონ პატარკაციშვილის ქვრივი ინა გუდავაძე, რომ მან პრეტენზია განაცხადოს ტელეკომპანია „მზეზე“, რათა ვანო ჩხარტიშვილმა მისი დაბრუნება ვერ მოახერხოს.

„ჩვენ გვინდა წინა პლანზე წამოვნიოთ ირაკლი რუხაძე, რომელიც პატარკაციშვილის ქონების მმართველი და ამავდროულად კახა ბენდუქიძის მეგობარია. ეს „ტროიკა“ – უგულავა, ბენდუქიძე და რუხაძე ყველაწინა ბინძური მეთოდით ცდილობენ გამოიყენონ პატარკაციშვილის ოჯახი და ტელეკომპანია „მზეს“ დაეპატრონონ“, – აღნიშნა ჩხარტიშვილის ადვოკატმა პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, უგულავა, კეზერაშვილი და ზურაბ ადგიშვილი ლონდონშიც კი იყვნენ ჩასული პატარკაციშვილის ქვრივთან მოსალაპარაკებლად.

„ლიბერალთან“ ინტერვიუში ამ ინფორმაციას ინა გუდავაძე სიცრუეს უწოდებს: „არანაირი შეხვედრა დასახელებულ პირებთან არ შემდგარა. ერთადერთი შეხვედრა უგულავასთან შედგა თბილისში და ის ეხებოდა ტელეკომპანია „იმედის“ დაბრუნებას. „იმედის“ დაბრუნება არანაირად არ უკავშირდება „მზის“ მესაკუთრეობის საკითხს. ვშიშობ, ბატონ ჩხარტიშვილს ზედმეტი წარმოდგენა აქვს მის პერსონასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე“.

ინა გუდავაძე ასევე კომენტარს აკეთებს ბადრი პატარკაციშვილის მონაწილეობაზე ტელეკომპანია „მზის“ დაარსებაში და აღნიშნავს, რომ პატარკაციშვილმა

■ „გაყალბებული ანდერძი და დოკუმენტები, აქტივების მითვისება – 5 წლის განმავლობაში ჩვენ გვინევდა დაგვეცვა ჩვენი უფლებები სხვადასხვა ქვეყანაში. იმ პირთა შორის, რომლებმაც ისარგებლეს ჩვენი რთული მდგომარეობით, იყო ბატონი ჩხარტიშვილიც“, – აცხადებს ინა გუდავაძე.

ტელეკომპანია „მზეში“ 6 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩადო და ის ამ არხის ბენეფიციარ მესაკუთრეს წარმოადგენდა. რაც შეეხება ვანო ჩხარტიშვილს, გუდავაძის თქმით, „მას, როგორც ბადრის რწმუნებულ პირს და მცირე წილის მფლობელ თანამესაკუთრეს, ჰქონდა გარკვეული კავშირი არხთან“. გუდავაძე ამბობს, რომ მოგვიანებით, პატარკაციშვილმა „მზესა“ და „იმედს“ შორის არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა, ხოლო „მზის“ სანაცვლოდ მიღებული აქტივების ბედი ახლა სასამართლო საქმეში ჩხარტიშვილის წინააღმდეგ განიხილება.

გუდავაძის თქმით, პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისი ოჯახი მოროდირებისა და თაღლითების თა-

ვდასხმის ობიექტი გახდა. „გაყალბებული ანდერძი და დოკუმენტები, აქტივების მითვისება – 5 წლის განმავლობაში ჩვენ გვინევდა დაგვეცვა ჩვენი უფლებები სხვადასხვა ქვეყანაში. იმ პირთა შორის, რომლებმაც ისარგებლეს ჩვენი რთული მდგომარეობით, იყო ბატონი ჩხარტიშვილიც“, – აცხადებს ინა გუდავაძე.

ვანო ჩხარტიშვილი ქართულ მედია სივრცეში ოფიციალურად 2003 წელს გამოჩნდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ზურაბ ზედგენიძის, ლევან ყუბანეიშვილის, კახი ბექაურისა და ელდარ მდინარაძის მიერ 2002 წელს დაფუძნებული ტელეკომპანია „მზის“ 15 პროცენტის ნილი შეიძინა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახდა.


არაერთ პოპულარულ ჟურნალისტთან ერთად, „მზეში“ ლევან ყუბანეიშვილის შეთავაზებით, მაშინ ნინო ყიჟილაშვილიც მივიდა. იგი იხსენებს, რომ „მზეს“ წარმატებული დასაწყისი და იმის შანსი ჰქონდა, რომ ქართულ ტელევიზორში ახალი სიტყვა ეთქვა.

„ვიდრე ეთერში გავედით, ჩვენზე უზარმაზარი რესურსი დაიხარჯა. ჟურნალისტებს BBC-სა და Thomson Foundation-ის წარმომადგენლებმა ხანგრძლივი ტრენინგები ჩავგიტარეს. ძალიან სერიოზულად გაგვევრთნეს ჟურნალისტიკაში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მთლიანად მათი ხედვებით, რეკომენდაციებითა და დიზაინით აიგო მზის პირველი გამოშვება. ასეთი იყო ამ არხის ძალიან წარმატებული დასაწყისი“, – იხსენებს ტელეკომპანიის მუშაობის პირველ დღეებს ნინო ყიჟილაშვილი.

ჟურნალისტიკის თქმით, იმ პერიოდში ყველამ იცოდა, რომ არხი იყო ვანო ჩხარტიშვილის, თუმცა მასთან უშუალო შეხება არ ჰქონიათ.

„ვანო ჩხარტიშვილის არსებობა ტელევიზიის მიღმა ან ტელევიზიაში ჩვენ არასოდეს გვიგრძენია. ერთადერთი, ვგრძნობდით, რომ ტელევიზიას ჰქონდა კარგი დაფინანსება. მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ვმუშაობდი ხელგამლილ ტელევიზიაში, სადაც ზრუნავდნენ როგორც არხის ინვესტირებაზე, ასევე ჟურნალისტების კომფორტზე“, – აღნიშნავს ნინო ყიჟილაშვილი.

ტელეკომპანია "მზის" გეგმობა 2002-2006 წლებში



არხის ხელმძღვანელობაში ცვლილებები 2004 წლის მაისიდან იწყება, როდესაც ვანო ჩხარტიშვილის რწმუნებულმა გიორგი ქავთარაძემ მდინარაძისა და ზედგენიძის დათმობილი 84 პროცენტიდან 44 % შპს „საქცემენტს“ დაუთმო, 7 პროცენტი კი – გელა კობახიძეს. შემდეგ გიორგი ქავთარაძისა და ვანო ჩხარტიშვილის დარჩენილი წილებიც შპს „საქცემენტის“ მფლობელობაში გადავიდა და „საქცემენტის“ წილმა 93 პროცენტი შეადგინა. შპს

„საქცემენტის“ უკან თავდაცვის მინისტრის გელა ბეჟუაშვილის ძმა, დავით ბეჟუაშვილი მოიაზრებოდა.

2005 წლის ივნისში „მზის“ ყველაზე პოპულარული გადაცემა, ირაკლი იმნაიშვილის პოლიტიკური თოქ-შოუ „არჩევანის ზღვარზე“ დაიხურა, სექტემბერში კი „მზის“ თანამშრომელთა რაოდენობა განახევრდა.

იმნაიშვილის საავტორო გადაცემის დახურვა ბევრმა მაშინ მედიაზე ხელი-

სუფლების ზენოლად აღიქვა. ნინო ყიყილაშვილი, რომელიც ამ გადაცემის ყურნალისტი და პროდიუსერი იყო, იხსენებს, რომ ბოლო გადაცემაში, რომელიც მოჭიდავეთა საქმეს ეხებოდა, გიგა ბოკერია ირაკლი იმნაიშვილს უთხრა, რომ მომავლის საქართველოში მისნაირი ყურნალისტების ადგილი აღარ იქნებოდა.

„მე ვერ დავაბრალებ ვერავის, რომ მისი ზენოლის შედეგად დაიხურა ეს გადაცემა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს გადაცემა დაიხურა ზენოლის შედეგად და ისიც ფაქტია, რომ გადაცემის ბოლო სტუმარი იყო გიგა ბოკერია“, – აღნიშნავს ყიყილაშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას. „ჩემთვის ეს იყო ნიშანი, რომ ჩვენს თავს კარგი ამბავი არ იყო. ამას დაემთხვა ისიც, რომ მეორე დღით მოვიდა დავით ბეჟუაშვილი, რომელიც იყო ახალი მეპატრონე და ვანო ჩხარტიშვილთან შედარებით უფრო ხშირად მოდიოდა ხოლმე ტელევიზიაში. ბეჟუაშვილმა ირაკლი იმნაიშვილს უთხრა – შენ ხარ ჩემი თავის ტყვილი, ამიტომაც ეს გადაცემა აღარ იქნება ეთერში. და მართლაც, გადაცემა დაიხურა“.

ამ დროისთვის ტელევიზიის საქმეებიდან უკვე ჩამოცილებულია ვანო ჩხარტიშვილი. ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას თქმით, 2004 წლის მაისში ჩხარტიშვილი პირადად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიბარა და „მზის“ დავით ბეჟუაშვილისთვის, ანუ „საქცემენტისთვის“ გადაფორმება მოსთხოვა.

„ეს იყო ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ განხორციელებული ტრანზაქცია, რომელშიც ჩართული იყო ქალაქის მერი გიგი უგულავაც და რომლის წინააღმდეგაც, ამ და არამხოლოდ ამ ფაქტის გამო, მალე პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის განცხადება შევა“, – აცხადებს გაბუნია.

მისივე თქმით, ჩხარტიშვილზე და მის ოჯახზე 23 დღის განმავლობაში ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ტერორი. „ჩხარტიშვილის ოჯახის წევრები, მისი რვა წლის შვილიშვილი, ფაქტობრივად, ჩაკეტილი და დაპატიმრებული ჰყავდათ“, – ამბობს გაბუნია.

მზის აქციები 144 ათას დოლარად შეფასდა, თუმცა გაბუნია განცხადებით,

ტელეკომპანია "ბუჩინა"

ტელეკომპანია „გურია“ 1991 წელს დაარსდა. „გურიას“ რეგიონული მაუწყებლის სტატუსი და საერთო მაუწყებლობის ლიცენზია აქვს და ის დასავლეთ საქართველოს ფარავს.

დღეის მდგომარეობით, ტელეკომპანიის 49%-იან წილს ხათუნა სიორიძე ფლობს, 51%-იანი წილი კი ვანო ჩხარტიშვილის ვაჟზე, მიხეილ ჩხარტიშვილზე გაფორმებულია „მზერა TV“-მ შეიძინა 51 000 ლარად. თუმცა, ვიდრე ტელეკომპანია სიორიძისა და ჩხარტიშვილების საკუთრება გახდებოდა, წლების მანძილზე ის ორ დამფუძნებელს – მერაბ სიორიძესა და მარინა ვასილევას შორის დავის საგანი იყო.

2003 წელს შპს „კრონას“ დირექტორმა მარინა ვასილევამ, რომელიც „გურიაში“ 50%-ს ფლობდა პარტნიორი მერაბ სიორიძე და მისი ქალიშვილი ხათუნა სიორიძე ტელეკომპანიებისთვის გადარიცხული თანხების მითვისებაში დაადანაშაულა და ოზურგეთის სასამართლოში საქმეც მოიგო. 2006 წელს სიორიძეებმა გაასაჩივრეს სასამართლოს გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, თუმცა 2010 წლამდე ვასილევამ „გურიის“ 100%-იანი წილის მფლობელად რჩებოდა.

2010 წელს კი სიორიძეებმა ტელევიზიის 100% დაიბრუნეს. 2011 წელს ტელევიზიის გენერალურ პროდუსერად დაინიშნა ვანო ჩხარტიშვილთან დაახლოებული, ტელეკომპანია „მზის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ელდარ მდინარაძე. 2011 წლის შემოდგომაზე ვასილევამ კვლავ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ტელევიზია ვასილევას უფლებამონაცვლედ, მალხაზ საბაძეს გადაეცა.

2012 წლის 9 ოქტომბერს სამენარყო რეესტრში დაფიქსირდა ცვლილება ტელეკომპანია „გურიასთან“ დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, ტელევიზიის 100% საბაძემ ხათუნა სიორიძეს ნებაყოფლობით გადასცა. სიორიძემ კი საკუთრების ნაწილი მიხეილ ჩხარტიშვილს მიჰყიდა.

ვანო ჩხარტიშვილს არცერთი თეთრი არ აუღია.

„მზის“ გასხვისება-გადაფორმების ამბავი ამით არ დასრულებულა. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში „მზის“ შემთხვევაშიც თითქმის იგივე სქემები ამუშავდა, რაც „რუსთავი 2“-ის შემთხვევაში. თითქმის იგივეა იმ ადამიანთა გვარებიც, რომლებიც სხვადასხვა დროს „მზისა“ და „რუსთავი 2“-ის მფლობელები ხდებოდნენ. ამ სქემებით გამყარდა მმართველი გუნდის კონტროლი ტელემედია-სივრცეზე.

2005 წლის დეკემბერში ბეჟუაშვილების „საქცემენტმა“ „მზის“ კუთვნილი აქციების 93 პროცენტადან 78 პროცენტი ხელისუფლების იმდროინდელ ფავორიტ ბიზნესმენს, თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ახლო მეგობარს – ქიბარ ხალვაშს გადაუფორმა. დაახლოებით იმ პერიოდშივე მოხდა ქიბარ ხალვაშზე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 70 პროცენტი წილის გადაფორმებაც, რომელიც „რუსთავი 2“-ს დამფუძნებლებს დავით დვალსა და ჯარჯი აქიმძეს ეკუთვნოდა.

ტელეკომპანია „მზის“ დარჩენილი 15 პროცენტი 2006 წელს ჰოლდინგ „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ გადაეცა. ამავდროულად მიიღო გელა კობაიძის 7 პროცენტაიანი წილიც, ხოლო ქიბარ ხალვაშმა თავისი 78 პროცენტი შპს „გეო-ტრანსას“ მიჰყიდა. „გეო ტრანსისგან“ „მზის 55 პროცენტი ლევან ყარამანიშვილის კუთვნილმა შპს „Delgado Resources“-მა შეიძინა.

შემდეგ მზის 45 პროცენტი „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფმა“ შეიძინა, რომლის უკან ისევ ხელისუფლებასთან დაახლოებული პარლამენტარი დავით ბეჟუაშვილი იყო.

2008 წლისთვის არხი უკვე ჰოლდინგ „საქართველოს მედიის გაერთიანების“ წევრია, რომელშიც ასევე შედიოდა „რუსთავი 2“ და „პირველი სტერეო“.

როგორც ნინო ჟიჟილაშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას იხსენებს, 2007 წლისთვის „მზეში“ მუშაობის ყველა დღე სერიოზული სტრესი იყო.

„ყოველდღიურად იყო გზავნილები, თუ რა უნდა გასულიყო ეთერში და რა არა. მაგალითად, გიგი უგულა-

ვასგან, რომელიც მედიის კონტროლის თვალსაზრისით მაშინ განსაკუთრებით აქტიურობდა, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, ვინმე მესხელისგან. თავად შევსწრებივარ, თუ როგორ ურეკავდნენ ხოლმე არხის გენერალურ დირექტორს, ალექო ფარულავას. თუმცა, 2007 წლის ნოემბრის მოვლენებამდე, შემიძლია ვთქვა, რომ მზე „ფაფხურობდა“. საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ კი სამუშაოზე დაბრუნებულებს ყველაფერი ცენტრალიზებული დაგვხვდა, აღარ რეკავდა ბევრი სხვადასხვა ადამიანი. რეკავდა მხოლოდ ერთი ადამიანი და ეს იყო ქალაქის მერი გიგი უგულავა“, – აღნიშნავს ჟურნალისტი.

2008 წლიდან ტელეკომპანია „მზე“ წყვეტს საინფორმაციო მაუწყებლობას და მისი საეთერო ბადე მხოლოდ შემცირებით-გასართობი გადაცემებითა და ფილმებით ივსება. ტელეკომპანიის კუთვნილი საერთო მაუწყებლობის ლიცენზია კი 2009 წელს საბოლოოდ შეიცვალა სპეციალიზებული (შემცირებით-გასართობი) ლიცენზიით.

2012 წლის ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებიდან 2 დღეში, „მზისა“ და „რუსთავი 2“-ის მფლობელთა ვინაობაში კვლავ ცვლილებები დაინყო.

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა ლევან ყარამანიშვილისაგან ტელეკომპანია „მზის“ და „რუსთავი 2“-ის 40-40 პროცენტი შეიძინა. ხუთი დღის შემდეგ კი კეზერაშვილისგან ისევ ყარამანიშვილმა, ოღონდ ამჯერად ლევანის ძმამ – გიორგიმ „მზის“ და „რუსთავი 2“-ის წილები ისევ უკან დაიბრუნა.

გიორგი ყარამანიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეგობარი და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მრჩეველთა საბჭოს წევრია, რომელშიც მასთან ერთად თბილისის მერი გიგი უგულავა და რამდენიმე მინისტრი შედიოდა.

როგორც საჯარო რეესტრის 2012 წლის 12 ოქტომბრის ამონაწერიდან ირკვევა, ამჟამად შპს „ტელეკომპანია მზის“ 10%-ს გიორგი გეგეშიძე ფლობს, 50%-ს ლევან ყარამანიშვილი, ხოლო 40%-ს გიორგი ყარამანიშვილი. **□**



WWW.LIBERALI.GE



მონიტორინგი წინადაცხების ბაზაზე?

იურიდიული დახმარების, პრობაციისა და სასჯელალსრულების სამინისტროს ციხეთა მონიტორინგის ჯგუფის ფორმატის გადახედვა სურს. დარჩებიან თუ არა ჯგუფში ჟურნალისტები? ამ და სხვა საკითხებზე სამინისტროს, არასამთავრობოთა ნაწილსა და ჟურნალისტებს შორის ცხარე დისკუსიები მიმდინარეობს.

ზურაბ ვარდიაშვილი



10 ნოემბერს ჟურნალმა „ლიბერალმა“ იზოლაციაში მოთავსებული შს ექსპრტის, ბრალდებულ ბაჩო ახალაიასთან ინტერვიუ გამოაქვეყნა.

გარდა ამისა, „ლიბერალი“ ინტენსიურად აქვეყნებდა ნიუსებს და რეპორტაჟებს გლდანის ციხიდან, ქსნის ტუბზონიდან, სამკურნალო დაწესებულებიდან...

დაპატიმრებული ახალაიას მიმართ მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს ის ფაქტი ადასტურებს, რომ დღის განმავლობაში

ტელეკომპანიები საინფორმაციო გამოშვებებს ამ ინტერვიუზე დაყრდნობილი სიუჟეტებით იწყებდნენ. ჟურნალ-გაზეთები, რადიოები, ონლაინ-გამოცემები, საინფორმაციო სააგენტოები, ინტერვიუდან ამონარიდებს აქვეყნებდნენ, ზოგიერთმა მედიასაშუალებამ „ლიბერალის“ ექსკლუზივი თავიდან ბოლომდე გადაბეჭდა. ინტერვიუს მასშტაბური გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელებში...

მომდევნო დღეს ბაჩო ახალაიასთან ინტერვიუ „ინტერპრესნიუსმაც“ ჩანერა.

როდესაც აჟიოტაჟი ჩაცხრა, აღმოჩნდა, რომ არასამთავრობოების ნაწილს, ჟურნალისტების აქტივობა არ მოეწონა, და რაც უფრო საინტერესოა, სასჯელალსრულების დაწესებულებებიდან გამოტანილმა რეპორტაჟებმა თუ ინტერვიუებმა, ჟურნალისტების უკმაყოფილებაც გამოიწვია...

ყოფილმა სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა სასჯელალსრულების მინის-



შეხვედნენ თავისუფლებააღკვეთილ პირებს. ადმინისტრაცია ვალდებულია უფლებამოსილი პირის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში დაუბრკოლებლად შეუშვას ის დაწესებულებაში“, – ვკითხულობთ სამინისტროს იმდროინდელ განცხადებაში. განცხადება ვებ-გვერდზეა განთავსებული.

ბრძანების ვადა 2013 წლის 31 იანვრამდე განისაზღვრა. წევრები არიან ადვოკატები, უფლებადამცველები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რელიგიური გაერთიანებები, ფიზიკური პირები, ჟურნალისტები...

ხელისუფლების გადაბარების შემდეგ სამინისტროს წარმომადგენლები მონიტორინგის ჯგუფში ჟურნალისტების ყოფნის გამო უკმაყოფილებას არ მალავდნენ, „აქ უნდა იყოს უფრო მეტი უფლებადამცველი, ვიდრე ადვოკატები და ჟურნალისტები. ჯერ ერთი, ადვოკატებს ისედაც აქვთ შესვლის უფლება, მაგრამ ჟურნალისტებისთვის უნდა მოიძებნოს რაღაც ფორმა... ამას უნდა ჰქონდეს დათვალეერების ხასიათი პერიოდულად. ახლა ამას აქვს ბოდილის პრინციპი“, – განაცხადა გაზეთ „ალიასთან“ ინტერვიუში სოზარ სუბარის მრჩეველმა ლალი მოროშკინამ.

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ჟურნალისტების მიმართ უკმაყოფილება რამდენიმე კოლეგამაც გამოხატა. tspress-ის რედაქტორი ელისო ჯანაშია მიიჩნევს, რომ ჟურნალისტების მიერ ციხეებიდან სტატიების, რეპორტაჟების თუ ინტერვიუების გამოტანა „არაკეთილსინდისიერება, არაეთიკურობა და მანდატით ბოროტად სარგებლობაა“. მისი აზრით, სასჯელალსრულების დაწესებულებაში შეღწევა ყველა ჟურნალისტს თანაბრად უნდა შეეძლოს. „ეს ჯგუფი გაურკვეველი უფლებებითაა აღჭურვილი და ბევრ გაუგებრობას იწვევს“, – აღნიშნავს ჯანაშია. ის მოქმედი მონიტორინგის ჯგუფში ჟურნალისტების ყოფნას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ უფლება-მოვალეობების მკაცრად განერას ითხოვს.

ამ საკითხთან დაკავშირებით 7 ნოემბერს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ დისკუსია გამართა.

დისკუსიაში ქარტიის წევრი ჟურნალისტები მონაწილეობდნენ.

ქარტიის საბჭოსა და მონიტორინგის ჯგუფის წევრის, ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის თქმით, მონიტორინგის წევრი ჟურნალისტების მიმართ კოლეგები „გამოხატავდნენ გულისწყრომას იმის შესახებ, რომ მონიტორინგის ჯგუფის წევრები არიან პრივილეგირებულ მდგომარეობაში და მათ ეძლევათ შესაძლებლობა უფრო მარტივად გაიგონ სასჯელალსრულების დეპარტამენტში მყოფი პირების პოზიცია“.

9 ნოემბერს სასჯელალსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინიციატივით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით თემაზე „პენიტენციური სისტემის მონიტორინგის ალტერნატიული მექანიზმები“ სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

„ჩვენი მიზანია აღარასოდეს დაუშვათ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა საქართველოს ციხეებში. საზოგადოებრივი კონტროლი ამის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზმია“, – აღნიშნა მინისტრმა სუბარმა შეხვედრის გახსნისას.

ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, საზოგადოებრივი მონიტორინგის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ თავიანთი ხედვა წარმოადგინეს, ვინ და რა კრიტერიუმების საფუძველზე დააკომპლექტებს მონიტორინგის ჯგუფს? რა ტიპის ანგარიშვალდებულება დაეკისრებათ ჯგუფის წევრებს? ამ და სხვა საკითხების განხილვა ცხარე დისკუსიის რეჟიმში მიმდინარეობდა.

„ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლი აუცილებელია იმისთვის, რომ არსებული პრობლემები დროულად გამოვლინდეს, ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს და საზოგადოების თვალში ციხის ლეგიტიმურობა გაიზარდოს. UNDP მზად არის სამინისტროსთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ საკითხების პრაქტიკული განწყვეტისთვის მუშაობა განაგრძოს“, – თქვა გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილემ ინიტა პაულოვიჩამ.

ტრის პოსტზე ყოფნისას, მნიშვნელოვანი ინიციატივა რეალობად აქცია – საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფი შექმნა, რომელთა წევრებსაც ციხეებში შესვლა ნებისმიერ დროს შეუძლიათ.

მინისტრმა სპეციალური ბრძანებით, ამ ჯგუფის წევრთა სია დაამტკიცა. „უფლებამოსილ პირებს ეძლევათ უფლება, როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო საათებში შევიდნენ ყველა დაწესებულებაში, გაეცნონ იქ არსებულ მდგომარეობას და

გიორგი მშვენიერაძე სასჯელალსრულების სამინისტროში გიორგი ტულუშის მრჩეველად მუშაობდა, და მონიტორინგის საბჭოს ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობდა. „როდესაც საზოგადოებაში ციხეების კონტროლის იდეა გაჩნდა, მას მაშინვე დავეთანხმეთ“, – ამბობს მშვენიერაძე.

თუმცა, ახლად დანიშნული მინისტრის წინაშე გარკვეული პრობლემა წარმოიშვა. კანონი პატიმრობის შესახებ ციხეების მონიტორინგის მხოლოდ ორ საშუალებას ითვალისწინებს. ერთი შიდა კონტროლი, ე.წ. გენინსპექციაა, მეორე კი – პრევენციის ეროვნული მექანიზმი.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციები გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმითაა განსაზღვრული. 2009 წლის 16 ივლისს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, ამ ფუნქციებს ომბუდსმენის აპარატი ითავსებს.

სახალხო დამცველი ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას ამოწმებს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სპეციალური დეპარტამენტია შექმნილი.

იმისთვის, რომ ციხეთა კონტროლისთვის სხვა დამატებითი სტრუქტურა ჩამოყალიბებულიყო, კანონში ცვლილების შეტანა გახდა საჭირო, თუმცა ეს შეუძლებელი იყო, რადგან საკანონმდებლო ორგანო არ ფუნქციონირებდა.

ამიტომ გიორგი ტულუშმა პატიმრობის კოდექსში მითითებული უფლებით ისარგებლა, სადაც წერია, რომ მინისტრის ნებართვით ნებისმიერ პირს წინასწარი თხოვნის გარეშე ნებისმიერ ციხეში შესვლა შეუძლია.

სასჯელალსრულების სამინისტროში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ორი შეხვედრა გაიმართა. საბჭოს

ფორმაც ამ კონსულტაციების შემდეგ განისაზღვრა.

„ეს პროცესი საჯარო იყო, – ამბობს გიორგი მშვენიერაძე – ორივე შეხვედრას მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ და რაც იგეგმებოდა, გაშუქდა კიდეც“.

სამინისტრომ ერთკვირიანი ვადა აიღო და განცხადებების მიღება დაიწყო, საბოლოო ჯამში ტულუშის გადაწყვეტილებით საშუალო 51 პირზე გაიკცა.

„რაც შეეხება ჟურნალისტებს, როგორც მასხოვს, ვინც სურვილი გამოთქვა, ყველა მათგანი დავუშვით. გარდა ერთისა, რომელსაც ნასამართლეობა და მოუხდელი პირობითი მსჯავრი აღმოაჩნ-

■ „ციხე დახურული რომ იყო, იმიტომ მოხდა, რაც ვნახეთ. საზოგადოებრივი აზრი უფრო მწვავედ, ცხადად და ნათლად რომ შექმნილიყო, ასეთი რამ არ მოხდებოდა. მიმაჩნია, რომ ციხის სკანდალმა უნდა აიძულოს მონიტორინგის ჯგუფი, ჟურნალისტები აიტანონ“.

და და მისი ციხეში შემოქმედება მიზანშეწონილად არ მივიჩნით“, – ამბობს მინისტრის ყოფილი მრჩეველი.

მისი თქმით, ჟურნალისტების მიერ სტატიების წერა არავითარ კანონს არ ეწინააღმდეგება: „ვერაინ დამისახელებს აქტს, რომელიც მონიტორინგის წევრ ჟურნალისტს ციხეში პროფესიულ საქმიანობას უკრძალავს, – ამბობს გიორგი – მარტივად ვთქვათ, მაგალითად, თქვენ კი არა, ადვოკატი შეხვდა ბრალდებულს, თქვენ გაატანეთ კითხვები, მან კი პასუხები მოგწერათ. რა განასხვავებს ამ ინტერვიუს იმ ინტერვიუსგან, თუ პირადად შეხვდებით?“

მშვენიერაძე იმ დროს იხსენებს, როდესაც ადვოკატებს ციხეში კალმის და


ფურცლის შეტანის პრობლემა ჰქონდათ. „სწორედ ეს იყო დარღვევა, რადგან არავის აქვს უფლება, ბრალდებულს შეუზღუდო უფლება, გაავრცელოს ინფორმაცია, თუნდაც საკუთარი საქმის შესახებ“, – ამბობს მშვენიერაძე.

საგამოძიებო სტუდია „მონიტორის“ ხელმძღვანელის, ნინო ზურიაშვილის აზრით, მონიტორინგის ჯგუფში ჟურნალისტები აუცილებლად უნდა იყვნენ: „ციხე დახურული რომ იყო, იმიტომ მოხდა, რაც ვნახეთ. საზოგადოებრივი აზრი უფრო მწვავედ, ცხადად და ნათლად რომ შექმნილიყო, ასეთი რამ არ მოხდებოდა. მიმაჩნია, რომ ციხის სკანდალმა უნდა აიძულოს მონიტორინგის ჯგუფი, ჟურნალისტები აიტანონ“.

ზურიაშვილი მიიჩნევს, რომ რადგან მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, რეპორტაჟების, სტატიების, თუ ინტერვიუების ციხიდან გამოტანა ცუდი არ არის, „თუმცა რაკილა მანდატის პრივილეგია მონიტორინგის ჯგუფის წევრი ჟურნალისტების მიმართ, ზოგიერთი კოლეგის გალიზიანებას იწვევს, მათ ამ ეტაპზე ამ უპირატესობით არ უნდა ისარგებლონ“.

სხვაგვარად ფიქრობს მონიტორინგის ჯგუფის წევრი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი, ადვოკატი გაგი მოსიაშვილი. „დავინწყით იქიდან, თუ რატომია შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი, – ამბობს იურისტი, – ესაა საზოგადოების მაკონტროლებელი საშუალება. თუ ჟურნალისტები მათზე დაკისრებულ მოვალეობას თავიანთი პროფესიული სტანდარტების დაცვით განახორციელებენ – მიუკერძოებლად, ობიექტურად, ინფორმაციის გადამწმენით – მაშინ მე ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ, რომ ჟურნალისტმა წეროს რეპორტაჟები, სტატიები, ინტერვიუები...“

დარჩებიან თუ არა ჟურნალისტები მონიტორინგის ჯგუფში, ან შეიქმნება თუ არა მათთვის ალტერნატიული საშუალება პატიმრებთან შეხვედრისთვის? ამ საკითხის გადასაწყვეტად სამინისტროსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის მსჯელობა მომავალშიც გაიმართება. ■



ქართული დოკუმენტური ფილმები 'მეცხრე არხზე'

ნანა მარტიაშვილი

თქვენ გიყვართ დოკუმენტური კინო? გიყვართ პუბლიცისტიკისა და მხატვრული ფორმის ეს სინთეზი, რომელიც ანშეოს აკვირდება, აღნუსხავს და აანალიზებს? ყველაზე წარმავალი, ყველაზე მოუხელთებელი და ეფემერული დრო, ანშეო ხშირად სწორედ დოკუმენტურ კინოს აფარებს თავს, რათა თავი მომავალი თაობებისთვის გადაირჩინოს.

ქართული დოკუმენტური კინოს განვითარების ხელშეწყობა "მეცხრე არხზე" თავის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. არხი საინფორმაციო და, ბუნებრივია, მის პროგრამაში პუბლიცისტური და საინფორმაციო გადაცემები ჭარბობს. დოკუმენტური კინო კი, როგორც უკვე ვთქვით, პუბლიცისტიკისა და მხატვრული ფორმის სინთეზს წარმოადგენს. ის ამ ორი პირობითობის ზღვარზე არსებობს და ამიტომ ზუსტად შეესაბამება არხის ზოგად კონცეფციას.

"მეცხრე არხი" თავის მაცურებელს პარტნიორად მიიჩნევს, თანამოსაუბრედ, რომელთანაც პარიტეტული ურთიერთობა აქვს და რომელთანაც ერთად ცდილობს გაერკვას მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში, დაადგინოს, რა არის უკეთესი ქვეყნის და თითოეული მისი მოქალაქის მომავლისათვის. ზუსტად ამ ინტონაციით მიმართავენ - მაცურებელს მეცხრე არხის დაკვეთით დამზადებული დოკუმენტური ფილმებიც, განსხვავებით იმ ტელემაუნუებლებისგან, რომლებიც თავს ინფანტილური მასის მენტორად მიიჩნევენ, ცდილობენ ჭკუა ასწავლონ აუდიტორიას, შეუცვალონ მსოფლხედვა და პროპაგანდის მსხვერპლად აქციონ.

აუცილებლად უყურეთ "მეცხრე არხის" ქართულ დოკუმენტურ ფილმებს ყოველ შაბათ-კვირას, გადადეთ ყველა საქმე და ხანგრძლივი, ყურადღებიანი მწერა მიაპყარით თქვენს თანამოქალაქეებს, ჩვენი მძიმე ყოველდღიურობის ამ ნამდვილ გმირებს; ისინი თავისებურად ებრძვიან და არ ეპუებიან სილატაკებს, რომელიც უცხო მხარეში მიერეკება; გიგანტური პესების მშენებლობას, რომელიც ჩვეულ გარემოს თავდაყირა უყენებს; ომის სისასტიკებს, ულმოებელ ბანკებს, დე ფაქტო საზღვრის ხაზზე ცხოვრების მძიმე პირობებს და მარტოობას დადარიელებულ სოფლებში.

**უყურეთ
დოკუმენტურ
ფილმებს
შაბათ-კვირას
მეცხრე არხის
ეთერში**

www.tv9.ge

ბიზნესები ბანკების ხელში

საქართველოში კომერციული ბანკების უმრავლესობა საკრედიტო ინსტიტუტების პარალელურად სხვადასხვა სახის ბიზნესებსაც ფლობს. რა შეზღუდვებს უწესებს კანონმდებლობა ბანკებს და რამდენი კომპანიაა წამყვანი კომერციული ბანკების ხელში?

თათია ხალიანი

საქართველოში 19 კომერციული ბანკია. ბანკების უმეტესობა საბანკო საქმიანობის გარდა სხვა სახის ბიზნესებს ფლობს და ამის უფლებას მათ საქართველოს კანონმდებლობა ანიჭებს.

კანონმდებლობა ბანკებს მხოლოდ გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს და ეუბნება, რომ საბანკო საქმიანობაში შეუზღუდავია, არასაბანკო საქმიანობის დასაწყებად კი ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვა სჭირდებათ.

სხვადასხვა ბიზნესში კაპიტალის წილების ერთობლივი ღირებულება ბანკის სააქციო კაპიტალის 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს.


დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკის მიმართ სხვადასხვა სახის სანქციების გამოყენების უფლება აქვს.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები კანონმდებლობით განსაზღვრულ წესს არ არღვევენ.

საბანკო ინვესტიციების ჯამური მოცულობა 2012 წლის სექტემბრის მდგომარეობით 355 მილიონ ლარს შეადგენს, რაც აქტივების მხოლოდ 2.5%-ს წარმოადგენს.

სხვადასხვა სახის ბიზნესები, რომლებიც ბანკების ხელში ხვდება, ძირითადად გაცემული კრედიტის თანხის ასანაზღაურებელი წილია. როცა წარმოება სესხს ვერ ფარავს, ბანკი ქონებას ყიდის და ამ გზით სესხს იბრუნებს.

ყოველკვარტალურად თითოეული ამ



ფოტოსტამპი: თათია ნახაპოშვილი / შიპი

ბანკის ფინანსური ანგარიშები ეროვნული ბანკის ვებგვერდზე ქვეყნდება. ანგარიშებში, რომელსაც კერძო აუდიტორები ადგენენ, კომერციული ბანკების მფლობელობაში გადასული ბიზნესების ჩამონათვალსაც ნახავთ. განსაკუთრებით ხშირია, როცა ბანკები სადაზღვევო, ქონების მართვის, საინვესტიციო და სალიზინგო კომპანიებს ფლობენ.

„საქართველოს ბანკის“ მფლობელობაში დაახლოებით 50-ამდე კომპანიაა. მის საკუთრებაშია: სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიი“ (100%), სს „ჩემი ოჯახის კლინიკა“ (51%), ქუთაისის წმ. ნიკოლოზის სახელობის ქირურგიული ცენტრი (55%), სს ზუგდიდის მრავალპროფილური კლინიკური საავადმყოფო „რესპუბლიკა“ (100%), შპს „ქუთაისის დედათა და ბავშვთა მკურნალობისა და დიაგნოსტიკის ცენტრი“ (66,7%), სს „ჩხორონწყუს რეგიონული ცენტრალური საავადმყოფო“ (100%), შპს „აბაშის ამბულატორიული კლინიკა“ (100%), შპს „წყალტუბოს რეგიონული საავადმყოფო“ (66,7%), სს „თელიანი ველი“ (100%), სს „ინტერტური“ (97,02%), შპს „კუპა“ (ხის კასრების სანარმო) (70%), სს „ლიბერთი კონსუმერი“ (71%), შპს „ჰოლიდეი თრეველი“ (100%), სს „ფრაიმ ფიტნესი“ (100%).

ათამდე კომპანიას ფლობს „თიბისი ბანკი“. მის საკუთრებაშია სააქციო საზოგადოება „თიბისი ლიზინგი“ (89.53%), საბროკერო კომპანია შპს „თიბისი ბროკერი“ (100%), სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ (93.32%), სს „უძრავი ქონების მართვის ფონდი“ (100%). „თიბისი ბანკის“ შვილობილი კომპანია ასევე სს „ბანკი კონსტანტა“ (83.3%).

სადაზღვევო კომპანიებს „სტანდარტ ბანკი“, ბანკი „ქართუ“, „პრივატ ბანკი“ ფლობენ. „ვითიბი ბანკის“ საკუთრებაში შპს „საქართველოს საფონდო კომპანიასთან“ ერთად, ჩოგბურთის კორტეპიცაა, რომელსაც კომპანია „ჯთ +“ ფლობს.

კომერციული ბანკებისთვის ნებადართული საქმიანობის სახეობებს „კომერციული ბანკების საქმიანობის“ შესახებ კანონი ადგენს.

ამავე კანონმდებლობის მიხედვით, შვილობილი კომპანია იურიდიული პირია, რომელშიც სათავე სანარმო ხმის უფლე-

ბის მქონე აქციების 50 ან 50%-ზე მეტ წილს ფლობს.

საბანკო და რეალური სექტორის წარმომადგენელ სანარმოებს შორის მჭიდრო კავშირი მსოფლიოში გავრცელებული ტენდენციაა. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

მონინაალმდეგეთა აზრით, საბანკო და სამენარმეო საქმის გაერთიანებამ შესაძლებელია ხელოვნურად გაზრდილი ეფექტიანობით კონკურენციას ხელი შეუშალოს.

არსებობს რისკი, რომ როდესაც ბანკე-

■ პრობლემა თავისთავად არსებობს. ერთი მხრივ, ხარ ბანკი, ანუ ეკონომიკის დაკრედიტების ძირითადი ორგანო, მეორე მხრივ, საკუთრებაში გაქვს წარმოება. რა თქმა უნდა, მას უკეთეს პირობებს შეუქმნი, ვიდრე სხვა დანარჩენ ბიზნესს.

ბი წარმოადგენენ ინვესტორებს კლიენტ კომპანიებში მათ შესაძლებელია არამომგებიანი პროექტები დააფინანსონ, რაც სხვა დამფინანსებლებთან შედარებით ბანკის უპირატესობაზე მეტყველებს.

მხარდამჭერთა აზრით, ბანკებსა და მენარმეებს შორის კავშირებს შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს მთლიან საფინანსო სექტორსა და ქვეყნის ეკონომიკაზე. ჯგუფის არსებობის შემთხვევაში რისკები ნაწილდება და რისკიანი სექტორების დაკრედიტება შესაძლებელი ხდება.

მსგავს ვითარებაში ბანკები კლიენტი ფირმების ფინანსური მდგომარეობის შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას

ფლობენ, რაც მათი გადახდისუნარიანობის შეფასების შესაძლებლობას აიძულებს.

ეროვნული ბანკის შეფასებით, შეუძლებელია ცალსახად იმის მტკიცება, ბანკების მიერ სხვადასხვა სფეროს ინვესტირება უნდა იყოს თუ არა ნახალი-სებული. ამიტომ როგორც ეროვნულ ბანკში ამბობენ, ისინი საერთაშორისო პრაქტიკას ეყრდნობიან, რომელიც არ კრძალავს ბანკების მიერ ინვესტიციების განხორციელებას.

უნდა ფლობდეს თუ არა ბანკი სხვა კომპანიებს? – ეს კითხვა აქტუალური იყო 1995 წელსაც, როცა საქართველოში საბანკო კანონმდებლობა იწერებოდა. ბანკი „ქართუს“ დირექტორი და ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი იხსენებს, რომ ბანკებისთვის ამ უფლების მინიჭების წინააღმდეგი იყო. საბოლოოდ, კანონში ასეთი მუხლი მაინც ჩაინერა, თუმცა ბანკებს საერთო კაპიტალში 20%-იანი შეზღუდვა დაუწესდათ. აღნიშნული მუხლი 1998 წელს ჩასწორდა და შეზღუდვა 50%-მდე გაიზარდა.

ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ამგვარი ჩანაწერი სხვა ქვეყნის კანონმდებლობაშიც არსებობს და მიღებული პრაქტიკაა როცა ბანკი არასაბანკო საქმიანობას ეწევა. თუმცა მიაჩნია, რომ ქვეყანაში სადაც საბანკო სისტემა ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა ეს ბევრ პრობლემას ქმნის.

„პრობლემა თავისთავად არსებობს. ერთი მხრივ, ხარ ბანკი, ანუ ეკონომიკის დაკრედიტების ძირითადი ორგანო, მეორე მხრივ, საკუთრებაში გაქვს წარმოება. რა თქმა უნდა, მას უკეთეს პირობებს შეუქმნი, ვიდრე სხვა დანარჩენ ბიზნესს“.

აუდიტორი ირაკლი შავიშვილი ფიქრობს, რომ მთავარია ბანკები კანონს არ არღვევდნენ, სხვა შემთხვევაში ბანკი კომერციული ორგანიზაციაა და ის მოგების მიღებას ნებისმიერი საშუალებით ცდილობს.

„ნებისმიერ ქვეყანაში ბანკი ყველაზე მსხვილი ინვესტორია, რადგან დიდ ფინანსურ რესურსს ფლობს. შესაძლებელია, ბანკები სხვადასხვა სფეროში ინვესტირებას აკეთებდნენ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ“. ■



ფოტო: შოთა ბიძია

ყახაბაღს მიღმა

მარნეულის რაიონის სოფელი წოფი ეთნიკური სომხებითა და აზერბაიჯანელებით არის დასახლებული. ამ ორ ქვეყანას შორის მრავალწლიანი კონფლიქტის მიუხედავად, ისინი საქართველოს ტერიტორიაზე მშვიდობიანად თანაცხოვრობენ.

გიორგი გოგუა



მარნეულის რაიონში მცხოვრები ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები სშირად ერთმანეთის სალოცავებშიც ლოცულობენ. ისინი სალოცავებისთვის არც მცირე შესანირს იშურებენ.

საბჭოთა კავშირის დროს ამენებული ორსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის წინ, ტალახიან ეზოში დიდი, ნარინჯისფერი კარავია გაშლილი. რკინის ფეხებზე რამდენიმე რიგად დამაგრებულ ფიცრებს შორის მუქტანსაცმლიანი ქალები ირევიან. ხმაურსა და ჩოჩქოლში, შიგადაშიგ, ჭურჭლის ნკარუნის ისმის. უფრო მაღალფეხებიან გრძელ ფიცრებზე, მაგიდის მოვალეობას რომ ასრულებს, ერთმანეთის მიყოლებით აწყობენ თეფშებსა და დანა-ჩანგალს.

კარვის ერთი ბოლო ღიაა, ხოლო მეორეში კი პატარა მოედანია, სადაც

სულ ორი მაგიდა დგას: ერთზე მუსიკოსები (სოფელში მათ „მუზიკანტებს“ ან „დამკვრელებს“ ეძახიან), აპარატურას ასწორებენ; ხმის გამაძლიერებლებთან მდგარი მეორე, მომცრო, მრგვალი მაგიდა კი ხილითა და ტკბილეულითაა სავსე. იქვე ორი წითელი სავარძელი დგას, რომლებსაც ნარინჯისფერი წყალგაუმტარი ნაჭრიდან შემოსული სინათლე კიდეგ უფრო თვალისმომჭრელად ანითლებს. მუსიკოსების თავს ზემოთ მოგრძო აბრაა ჩამოკიდებული წარწერით: ХОШ КАЛМИШИНИЗ (xosh qalimishiniz), რაც აზერბაიჯანულ ენა-

ზე ნიშნავს „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. „სეფაში“ სუფრა ორასამდე ადამიანისათვის იშლება: წოფში ქორწილისთვის ემზადებიან.

სოფელი წოფი თბილისიდან სამხრეთით, მარნეულის რაიონში, სომხეთის საზღვრიდან სულ ორ კილომეტრშია. მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი ეთნიკური აზერბაიჯანელია, დანარჩენი კი სომხები. ადრე აქ რამდენიმე ბერძნული ოჯახიც ცხოვრობდა, თუმცა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავიანთი სახლები მეზობლებს დაუტოვეს. სომხები და აზერბაიჯანელები აქ



სოფელ წოფის ერთადერთ სკოლაში სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვები ერთად სწავლობენ.



ეს სკოლა საბჭოთა კავშირის შემდეგ არ გარემონტებულა.



ქართული ენის ეთნიკურად სომეხი მასწავლებელი სამ აზერბაიჯანელ მოსწავლეს თავიანთ მშობლიურ ენაზე უხსნის ქართული სიტყვების მნიშვნელობას.

უკვე რამდენიმე ათეული წელია, ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ. დღევანდელ ქორწილშიც, ძირითადად, სწორედ ეთნიკური სომეხები და აზერბაიჯანელები არიან შეკრებილები. ნარიზჯისფერი კარვისგან მოშორებით საქორწილოდ ტრადიციული აზერბაიჯანული კერძები მზადდება: დიდ ქვაბებში ფლავს ხარშავენ და კვამლისაგან

აცრემლებულ თვალებს ხელის სუფთად დარჩენილი ნაწილებით ისრესენ. პატარა „სეფა“ აქაცაა გაშლილი, მამაკაცებისათვის. ისლამური წესების მიხედვით კაცებსა და ქალებს ერთად სადილობა არ შეუძლიათ, თუმცა ამ ტრადიციას რამდენიმე ჭიქა არაყი არღვევს – ისევე, როგორც ალკოჰოლის მიუღებლობის წესს. ქეიფის დაწყებამდე ყველაფერი

იდეალურად უნდა მოესწროს. ჩქარობენ, რადგან სიძე და მისი ნათესავები ერთ საათში გამოჩნდებიან: ხმამალალი ნერვიული გადაძახილ-გადმოდახილი ორივე, სომხურ და აზერბაიჯანულ, ენაზე ისმის – აქ ერთმანეთის ენა ყველამ იცის, თუმცა ქართულად ლაპარაკი უმეტესობას უჭირს. ამ გაცხარებული საქორწილო სამზა-



ნოფის კულტურის სახლი



ეთნიკურად აზერბაიჯანელი, პატარა ქენონი თავის დაბადების დღეს სომეხ მეგობრებთან ერთად აღნიშნავს.



მიუხედავად ისლამის აკრძალვისა, მარნეულის რაიონში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები ალკოჰოლზე უარს არ ამბობენ.

ფოტოები: ბიორაი ბოლუა

დისის პარალელურად, ცენტრიდან ხუთასიოდე მეტრის დაშორებით მდგარ სოფლის ერთადერთ სკოლაში მესამე გაკვეთილის შესასვლელი ზარი ირეკება. პირველკლასელებს ქართული ენის გაკვეთილი უტარდებათ. კლასში სულ სამი მოსწავლე ზის. „აბა, ეს რა არის?“ ეკითხება ბავშვებს მასწავლებელი მატაქსია ოვსეფიანი და სახელმძღვანე-

ლოში დახატულ ქოლგაზე მიუთითებს. „ქოლ?...“ „ქოლგა“ – იმეორებენ მოსწავლეები. სამივე მოსწავლე ეთნიკური აზერბაიჯანელია. მასწავლებელი ამბობს, რომ ახალი სიტყვების ახსნისას ჯერ აზერბაიჯანულად უხსნის, ხოლო შემდეგ ქართულ სახელწოდებას ასწავლის: „ეს სკოლა სომხებისა და აზერბაიჯანელების მშვიდობიანი თანაცხოვრების

საუკეთესო მაგალითია“, – ამბობს ოვსეფიანი. ის იხსენებს, როგორ შეხვდა ერთ-ერთ უფროსკლასელ მოსწავლეს სომხურ სახელმძღვანელოში წინადადება, რომელშიც ეწერა, რომ აზერბაიჯანი არის „თშნამი“ – მტერი. მოსწავლემ კი ეს სიტყვა შეგნებულად გამოტოვა. დაპირისპირება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ჯერ კიდევ მეოცე



სანამ საპატარძლო თავის ოთახში მეგობრებთან ერთად სიძის მოსვლას ელოდება, მეზობელ ოთახში უხუცესი ნათესავები სხედან, რომ მასთან სხვა მამაკაცი არ შევიდეს.



საუკუნის დასაწყისში, მთიანი ყარაბაღის გამო დაიწყო. სიტუაცია 1988 წელს გამწვავდა, როდესაც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ეთნიკურმა სომხებმა აზერბაიჯანისაგან დამოუკიდებლობა ცალმხრივად გამოაცხადეს. კონფლიქტი, რომელიც დღესაც გადაუჭრელია, მოგვიანებით შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც ორივე მხრიდან ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეენირა.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიუხედავად, წოფსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს სხვა საზღვრისპირა

სოფლებში სომხები და აზერბაიჯანელები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. „როდესაც იქ ომი იყო, აქ კი ზოგჯერ პურის ფულიც კი არ გვქონდა, ჩვენი სომეხი მეზობლები პროდუქტს გვინანილებდნენ“, – ისხენებს წოფელი ხაიალა იბადოვა. დღეს მისი შვილი, ქენონი, ექვსი წლის გახდა და დაბადების დღეს თავის ეთნიკურად სომეხ თანატოლებთან აღნიშნავს.

განსხვავებული მრწამსის მიუხედავად, სოფელში მცხოვრები ორივე ეროვნების მოსახლეობა რელიგიურ დღესასწაულებსაც კი ერთად აღნიშ-

ნავს: „აზერბაიჯანელი მეზობლები ყოველ წელს ჩვენთან ერთად ხვდებიან ალდგომას, ჩვენ კი მათ ნოვრუზის (ისლამური „ახალი დღის დღესასწაულის“) დროს ვსტუმრობთ“, – ამბობს მეტაქსია ოვსეფიანი, ქართულის მასწავლებელი, და დასძენს: „ყველა იმ ადამიანს თანავუგრძნობთ, ვისი ახლობელიც ომმა შეინირა, თუმცა ყარაბაღი ამ სოფლის მცხოვრებლების ურთიერთობაზე არ აისახება“.

ეროვნებით აზერბაიჯანელი, 35 წლის ასიფ იბადოვი წოფში დაიბადა და გაიზარდა: „საქართველო ცხოვრებისთვის



პატარძალს, გამორჩენისთანავე, მუსიკოსები ტრადიციული აზერბაიჯანული მუსიკით, ხოლო სტუმრები ცეკვით ეგებებიან.



საქორწილო სამზადისში აზერბაიჯანულ ოჯახს სომეხი მეზობლები ეხმარებიან.



ტრადიციისამებრ, ქალები და მამაკაცები სუფრასთან განცალკევებით სხდებიან, თუმცა ამ ტრადიციას რამდენიმე წიქა არაფი არღვევს.

ფოტოგრაფი: მორიანი გიორგი

ყველაზე საუკეთესო ადგილია. აი, ცოტა მეტი შემოსავალი და სამუშაო რომ გვექონდეს, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ამასაც არა უშავს, ეს ჩვენი სამშობლოა“, – ამბობს დამტვრეული ქართულით და მესამე ჭიქა არაყს ცლის. მარნეულის რაიონის ამ სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, სხვა მეზობელი სოფლების მკვიდრთა მსგავსად, უმუშევარია: ერთადერთი პროფესია, რომლითაც შეიძლება აქ დასაქმდე, მასწავლებლობაა. მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობაა: ეზოებში ხილი, ბოსტნეული და მარცვლეული მოჰყა-

ვთ. ისიც, როგორც ამბობენ, იშვიათადაა იმდენი, გაყიდვაც რომ შეძლონ და ოჯახშიც მოიხმარონ. მამაკაცები ზამთრისთვის ტყეში შეშას ჭრიან: გრძელ და თოვლიან ზამთარში ეს აქ გათბობის ერთადერთი საშუალებაა.

* * *

სოფლის ცენტრში მუსიკა ისმის: პატარძლის ოჯახში სიძე და მისი ნათესავები უკვე მოვიდნენ. ქალები მანქანებიდან ერთმანეთის მიყოლებით გადმოდან და ტკბილეულით სავსე, წითლად მორთული ლანგრებით ხელ-

ში, „სეფაში“ მწკრივად, ცეკვა-ცეკვით შედიან. „მოდის!“ – ყვირიან ბავშვები და დიდ, წითელ კაბაში გამოწყობილი პატარძლის წინ, ატალახებულ გზაზე მორბიან. დღეს წოფში დღესასწაულია – ქორწილი, რომელსაც სოფლის ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა ერთად აღნიშნავს.

„როდესაც სომხეთში ჩავდივარ, ნათესავები მეკითხებიან: „არ გეშინია, რომ აზერბაიჯანელებთან ერთად ცხოვრობ?“ – აზერბაიჯანულად ამბობს მეტაქსია ოგსეფიანი – „მე კი ვპასუხობ: „არა, ისინი ჩემი მეგობრები არიან“. □





ფოტოკომენტარი
უკანასკნელი მალაქების
ზღაპარი

ლევან ხერხეულიძე


ფოტორეპორტაჟი

კახური სოფელი, რომელსაც ადრე ულიანოვკა, ხოლო კიდევ უფრო ადრე ალექსანდროვკა ერქვა, იმითაა გამორჩეული, რომ აქ საუკუნენახევარზე მეტია, რაც მალაკნები ცხოვრობენ, ათწლეულების წინ მათი იყო ეს არე და მიდამო, ახლა კი 80-მდე მალაკანია დარჩენილი. ახალგაზრდების უმეტესობა ნასულია საქართველოდან ან ქალაქში ცხოვრობს. მოხუცებილა შემორჩნენ, თავიანთი პროტესტანტული რწმენისა და წეს-ჩვეულებათა ერთგულები. მალაკანთა ღვთისმსახურება ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, საინ-

ტერესო და ხალისით სავსე პროცესია: კვირაობით ცისფრად შეღებილ სამლოცველო სახლში იკრიბებიან და ორ ჯგუფად იყოფიან. სამლოცველო დარბაზში ნიკოლაი პრესვიტერი (ხუცესი) ბიბლიას კითხულობს, ობრიადნიკიდან (სალოცავი ტიპიკონიდან) ლოცვებს აღავლენს და მრევლთან ერთად გალობს, მეორე ოთახი სამზარეულოა, სადაც რუსული „პეჩკა“ და ლუმელია დანთებული. მზარეულის მეთაურობით ქალები ცომს აბრტყელებენ, შემდეგ გრძელ ჯოხებზე აფენენ და „პეჩკაში“ აშრობენ, რათა გამომშრალი

ცომის ფირფიტები წვრილ-წვრილად დაჭრან და ლაფშა მოხარშონ. გვერდით, ორ უზარმაზარ ქვაბში – „ჩუგუნში“, პირდაპირ ლუმელში რომაა ჩასმული, ძროხის ხორცი და ვაშლის კომპოტი იხარშება, გარეთ კი სამოვრებია ჩამწკრივებული: ჩაისთვის წყალს ადუღებენ. ხანგრძლივი, სამსაათიანი ლოცვა დასრულდება თუ არა, სამლოცველოში გრძელი სუფრა ეწყობა, მაგრამ ნიკოლაი პრესვიტერი ისევ ლოცვას იწყებს და სუფრაზე სამოვრები, ჩაიდნები, თლილი მინის ჭიქები, შაქრის ნატეხები და კამფეტები შემოაქვთ.




ხალისიანი ხუცესი აფრთხილებს მალაქნებს, რომ ჩუმად ისხდნენ და ჩაი სვან, ჩაის ისევ ლოცვა და ლაფშა მოსდევს, ლაფშას, კვლავ ლოცვა და „ჩუგუნში“ მოთუშული, წვრილად დაჭრილი ხორცი, ბოლოს კი ალუბლის მურაბის წვენი შეფერილ ვაშლის კომპოტსაც დალევენ და ზედ ისევ ლოცვას დააყოლებენ. ამით მსახურება სრულდება. ყოველივე ამის შემხედვარეს თავი რომელიღაც რუსულ ზღაპარში გგონია, ოღონდ ის გრძნობაც განვალეებს, რომ ამ სოფელში, ალბათ, ეს უკანასკნელი მალაქნების ზღაპარია. 







ხონფოჩისხები



გაგა ნახუცრიშვილი
პოეტი

„სინამდვილე ყოველთვის ოპოზიციანია“
პოლ ვალერი

„დღეიდან თქვენ ჩემი ოპონენტები ხართ“ – ასე მიმართა ვაცლავ ჰაველმა თავის მეგობრებს. – „თქვენ ქვეყნის მმართველად ამირჩიეთ, ამიტომაც თქვენგან კრიტიკის მოსმენა მინდა და არა ქების“.

ეს ვაცლავ ჰაველია, ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება და არა მხოლოდ პოლიტიკოსი. ვისაც მიკ ჯაგერმა უმღერა. ისე, უბრალოდ, მეგობრულად. პრალაში ჩავიდა და თანადგომა გამოხატა.

მილოშ ფორმანი იხსენებს, რომ საერთო საცხოვრებელში, რამდენიმე ბიჭი ერთად ცხოვრობდა. ვაცლავი ფიზიკურად ყველაზე სუსტი იყო, მაგრამ მის სიტყვას სხვანაირი ფასი ჰქონდა. ყველანი განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. ბავშვობიდანვე ლიდერის თვისებები ჰქონდა. ოღონდ ჰუმანურის და არანაირად ტოტალიტარულის. ჩამშვებებს და დამბეზლებლებს ვერ იტანდა (როგორ ჰგავდა ჩვენს ზოგიერთ პოლიტიკურ ლიდერს, არა?). ჰოდა, ამიტომაც იყო ჰაველი. პიროვნება, რომლის სახელსაც წლების განმავლობაში, ჩვენი პოლიტიკოსები თუთიყუშივით გვიმეორებდნენ. თუმცა, საერთოდაც არ ჰგავდნენ მას.

ხანდახან მეჩვენება, რომ დაგვაგვიანდა და მატარებელმა გაგვასწრო. სხვა მატარებელმა, დემოკრატიის, ლიბერალიზმის და ზოგადად, ნორმალურმა

სახელმწიფომაც ჩაგვიქროლა. თავის რელსებს გაჰყვა. უტოპიად იქცა. ჩვენ კი სისხლში და ამბიციებში ჩაფლულნი ვექებთ. ვექებთ იმას, რაც დიდი ხანია ერთმანეთთან ბრძოლით, უტვინობით და გაუტანლობით დავკარგეთ.

საბჭოთა ხანაში ვცხოვრობდით. მე მახსოვს ბრეჟნევის ფერადი ტალღები (ხორციის, რძის პროდუქტების, შაქრის). ისიც მახსოვს, აირწინალის გამოყენებას როგორ გვასწავლიდნენ 7-8 წლის ბავშვებს. ამერიკასთან „დაიადი“ ომისთვის ემზადებოდნენ. და იყო ხალხი, რომელიც ამ მარაზმს ამართლებდა. ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ,



ეროვნული დროში მოგვევლინენ. ნამებულის ნილაბი მოირგეს და სინდისზეც აგვაგდეს. ყველა „მერაბ კოსტავად“ გარდაიქმნა. „დედაეკლესიისა“ და დამოუკიდებელი საქართველოს სადღეგრძელოს სვამდნენ. მოკლედ, ისევ კონფორმისტები იყვნენ.

ეროვნულ მოძრაობას აყოლილი „ერის კაცებიც“ მახსოვს, გაბურძგნულები და გაუნათლებლები. ცას მუშტებს უღერებდნენ და გულზე მჯილს იცემდნენ. სამშობლო „უყვარდათ“. მოკლედ, პატრიოტიზმში ნახეს თავშესაფარი. ახალ დინებას მიჰყვებოდნენ. ისინიც კონფორ-

მისტები იყვნენ. თუმცა ცნება კონფორმიზმზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

მერე დამოუკიდებლობის წლები. იქამდე ყველაფერი უფრო მარტივი და ლამაზი გვეგონა. დავინახეთ, რომ ნანატრ თავისუფალ საქართველოშიც, კონფორმისტების დიდი გრძელდება. ხანგრძლივი, აუტანელი და მგონი დაუსრულებელი. პოლიტიკოსები და „ცნობადი სახეები“, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ეჯიბრებოდნენ ჭკუის სწავლებაში, დამოდღრაში, განკითხვასა თუ გაკიცხვაში... ნუ, იმათ ჰქონდათ ამის უფლება. ჩვენ ხომ, იმათგან განსხვავებით, „რიგითი მოქალაქეები“ ვიყავით, ვინაიდან ეს ქვეყანა ჩვენი არ იყო. ეს შეგრძნება დღემდე მოგვდევს.

დამარცხებულების მარში. სიბნელე და ბუნდოვანი მომავლის შიში. დაკარგული ქვეყანა. ცრუ იმედი და სიტყვები: „ასეა საჭირო, უნდა მოვითმინოთ“, – ამბობდა ხელისუფალი. ეთანხმებოდნენ. ჩვენ კი ვიცნობდით, ვიცოდით რატომაც ეთანხმებოდნენ. ბევრი ვიარეთ, ვითმინეთ და ამასაც გაუძელით. ვაპატიეთ, რადგან სხვაგვარად არ შეგვეძლო, რადგანაც ჩვენც იძულებითი კონფორმისტები ვიყავით.

არ გვჯეროდა, მაგრამ ცვლილების გვეშინოდა. ეგებ და უარესი შეგვემთხვეს, დამთხვეულებს და მიუსაფრებს. იქნებ არც ვიმსახურებთ ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრებას. იქნებ დინებამ სხვაგან ნაგვილო, სადაც, შორს, სადაც ოცნებაც კი აკრძალულია. უბრალოდ, თავი უნდა დახარო და ბელადს მორჩილად გაჰყევ. ლექსებიც ბელადზე წერო და ნათელი მომავლის იმედით იცხოვრო. მგონი არ შევეცლილვართ, რადგან თავისუფალ საქართველოშიც, ტოტალიტარულ სისტემაში ვიცხოვრეთ და კონფორმიზმიც ქათინაურია ჩვენთვის. **□**

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან




სხარი
შოკოლადენი
98.5 FM

www.facebook.com/RadioTskheliShokoladi

98.5

ლია ხაჩის ქვეყანა



ბექა ქურხული მწერალი

გახსოვთ, ის საინტერესო და ღრმაზროვანი ტყუილი, რომელიც კომუნისტებიდან მოყოლებული დღემდე მოგვყვება, რომ ჩვენ ტოლერანტული ვართ, რომ ყველას ვიფარებთ, არავის ვზავრავთ და თბილისში იტალიურ ეზოებში ძმურად და მეგობრულად ცხოვრობდნენ ქართველები, ქურთები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, სომხები, რუსები და შიგადაშიგ გერმანელები და ბოშები?.. იმით ხომ გული იყო შენუხებული და ონსილა წაღებული, აბა, სად გსმენიათ და სად გაგიგიათ, რომ ერთ მტკაველ მინაზე, გვერდიგვერდ ებრაული სინაგოგა, სომხური გრიგორიანული ეკლესია, მუსულმანური მეჩეთი და ქრისტიანული მართლმადიდებლური ტაძარი იდგეს. აბა, სადო? გკითხავდა ვინმე მტკიცე და პრინციპული სულელი და გამარჯვებული და კმაყოფილი სახით შემოგხედავდა. სად და ბევრგან, ბატონო, თუნდაც სარაევოში, რომელიც ზუსტად ისევე დანვეს და გადაბუგეს მისმა „ძმურად და მეგობრულად მცხოვრებმა“ მოქალაქეებმა, 90-იან წლების დასაწყისში, როგორც ჩვენ გადავბუგეთ და დავანგრეთ ჩვენი ქალაქი, სადაც საუკუნეების განმავლობაში „ერთ მტკაველ მინაზე“, „გვერდიგვერდ“, და სხვა ქალაქები და სოფლებიც მივაყოლეთ ზედ.

სად, აბა, სხვაგან სად? „სად არის სხვაგან ახალი ვარაზი?“ „სად არის სხვაგან ამდენი მარაზი?“ არსად, ბატონო. მაგაში კი ვერავინ შეგვეჯობრება, რა სარაევო, რის ბელფასტი, რა მინსკი და რის ყარაჩი...

ტყუილი ის კი არ გახლავთ, რომ ეკლესია, სინაგოგა და მეჩეთი გვერდიგვერდ დგას. არა, ფაქტია, რომ დგას. რატომ დგას, ეს უკვე სულ სხვა თემაა და ამის ისტორიულ განხილვას აღარ მოვყვებით. ტყუილი ის არის, რომ ტოლერანტული და შემწყნარებელი ვართ. ტოლერანტული კი არა, ჩვენს ეთნიკურ უმცირესობებთან ისეთი ამ-

■ მე არც ვიცი სხვა ასეთი მაგალითი, როდესაც ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანას აბსოლუტურად სამართლიანად თვლის და აცხადებს აგრესორად, უარს ამბობს მასთან ყოველგვარ დიპლომატიურ ურთიერთობაზე და ამავე დროს, ცალმხრივად აუქმებს სავიზო რეჟიმს (თუ ვინმემ იცით სხვა ასეთი ფაქტი, შემახსენეთ) რატომ? გასაგებია, რომ ეს მიშას ინიციატივა იყო, ამაზე აღარც ღირს ლაპარაკი, მაგრამ ახალი მინისტრთა კაბინეტი რატომ არ გადახედავს ამ, უკაცრავად და, ორიგინალურ გადანყვეტილებას?

ბები დაგვემართა და დავატრიალეთ, ლამის ბოლომდე ამოვფლიტეთ ერთმანეთი. ვისი ბრალი იყო, რა მიზეზით და ვინ იყო დამნაშავე, ეს სხვა თემაა, მაგრამ სისხლში რომ ვაბანავთ ერთმანეთი, ესეც ისეთივე ფაქტია, როგორც სინაგოგის, ეკლესიისა და მეჩეთის გვერდიგვერდ დგომა. რჩება შთა-

ბეჭდილება, რომ შემწყნარებლებიც, სამწუხაროდ, ან მაშინ ვართ, როცა იმდენად ძლიერად ვგრძნობთ თავს, რომ სხვებს სერიოზულად აღარც აღვიქვამთ, თავს არ ვუყადრებთ, ან მაშინ, როცა მეტი გზა არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ ტოლერანტები და შემწყნარებლები ვიყოთ და სულ კბილების კრაჭუნით ველოდოთ უკეთეს დროს, რომ ეს ჩვენი „შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის“ ობიექტი სადმე ბნელ კუთხეში წავიმწყვდიოთ და ერთი კარგად მივგუდოთ.

სხვა რა, მეც ეგრე ვარ, ბოლო წლებია, სულ ჩრდილოეთით ვიყურები, იმის იმედით, რომ რუსებს რამე ჯანდაბა დაემართოთ, აქედან გაეთრნენ და მერე ცუდი ღიმილით მოვუბრუნდე: – „აჰა, აბა, ეხლა როგორა ხართ, რა არის ბიჭო თქვენი? ახლა განახებთ, კაი ასარაიდა ვარაიდას და ჩიზგი ოო ჩიზგი რასოხ და ჩიზგი ოოო“-ს.

სწორედ ასეთი უმწეო და ყალბი ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის ყველაზე ნიშანდობლივი მაგალითი და ნიმუში მგონია ოკუპანტ რუსეთთან ცალმხრივად გაუქმებული სავიზო რეჟიმი. მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა მხოლოდ ერთ რამეში ვთანხმდებით, თავისი „ნაცმოდრობიან“, „ოცნებიანად“, პოზიცია, ოპოზიციანად, მიშისტებიან, შუაშისტებიანად, რომ რუსეთი ოკუპანტია, როდესაც ამას ადასტურებს, თითქმის ყველა ევროპული და დასავლური პოლიტიკური ორგანიზაცია, მაშინ, როდესაც მტერმა ქვეყნის ოცი პროცენტი წაგლიჯა, წაგართვა, მინასთან გაგისწორა, იმ მტერთან სავიზო რეჟიმი გაუქმებული რატომ უნდა გქონდეს? საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა ქალბატონმა მაია ფანჯიკიძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და სანამ არ მოხდება დეოკუპაცია ყველანაირ დიპლომატიურ ურთიერთო-

ბაზე და მით უმეტეს, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე საუბარიც კი ზედმეტია. მე არც ვიცი სხვა ასეთი მაგალითი, როდესაც ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანას აბსოლუტურად სამართლიანად თვლის და აცხადებს აგრესორად, უარს ამბობს მასთან ყოველგვარ დიპლომატიურ ურთიერთობაზე და ამავე დროს, ცალმხრივად აუქმებს სავიზო რეჟიმს (თუ ვინმემ იცით სხვა ასეთი ფაქტი, შემახსენეთ) რატომ? გასაგებია, რომ ეს მიშას ინიციატივა იყო, ამაზე აღარც ღირს ლაპარაკი, მაგრამ ახალი მინისტრთა

ასფალტს დაადო ხელი, აესლა თამარაშენი, სახლებს ასწორებენ, ზედ ასფალტს აგებენ რუსები და ბარებს აშენებენო. თბილისიდან 25 კილომეტრში რუსების ტანკები უნდა დაგრიხინებდნენ, ჩვენს ძირძველ და უძველეს სოფლებს საძირკვლებიანად თხრიდნენ და მაგათი ტურისტები იქვე, ყურის ძირში, პლაჟზე უნდა იყვნენ ნამოკოტრიალებული? რატომ? ბევრი გემართებს ამ დედააფეთქებული რუსეთის? ვალი გვაქვს? და რა ჰქვია ამას, ტოლერანტობა? შემწყნარებლობა? ბიზნეს-ინტერესები? რეალ პოლიტი-

უბრალოდ, ძალიან ორიგინალურები, ტოლერანტულები და გულმონყალები ვართ და ამიტომ... ტყუილია ეგა და ჩვენ თვითონაც ძალიან კარგად ვიცით. ერეკლე მეფე გეორგიევსკის ტრაქტატს ხელს რომ აწერდა, სამეფო საბჭოზე ერთი თავადი ადგა, გვარი აღარ მახსოვს, ცნობილი ამბავი კია და უთხრა: – „მეფეო, ემ დარიალის კარს რომ უღებ ამ რუსებს, რამე რომ იყოს, მაგ დარიალის კარის ისევ დაგმანვას შევიძლებთო?“ ეგ კი აღარ ჩანს, ერეკლე მეფემ რა უპასუხა ან უპასუხა თუ



ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი


ფოტო: თეიმურაზ სიხიძე

კაბინეტი რატომ არ გადახედავს ამ, უკაცრავად და, ორიგინალურ გადანყვეტილებას? ტურისტებიო. რა ტურისტები?! ამას წინათ თამარაშენელი ძმაკაცი შემხვდა, სოლოლაკში, ტაბიძის ქუჩაზე, რა ისმის ხეობიდან-მეთქი და

კა? თუ მონობა და ჩმორობა? ისრაელი არ არის დემოკრატიული ქვეყანა, რეალ პოლიტიკაში ვერ ერკვევა, თუ ბიზნესში ესწავლება რამე, დამარცხებულ პალესტინის საზღვარზეც კი ათმეტრიან კედლებს რომ აშენებს და მავთულხლართებს აბამს? თუ ჩვენ,

არა რამ, პასუხი ისედაც ნათელია – უკვე ორას წელზე მეტია, ეს დალოცვილი დარიალის კარი ველარ დავგმანეთ და ველარც რუსი მოვიშორეთ თავიდან. შემწყნარებლები, ტოლერანტები და მიმტევებლები ვართ და რა ვქნათ?!

ბანახიონ ტაბიძის თხოვნაში



კაბა თოლორდავა
ჟურნალისტი

თავიდანვე გაფრთხილებთ, ეს სარეკლამო ტექსტი არაა. უბრალოდ, საჭიროდ ჩავთვალე, უკვე ლამის ოთხი წლის შემდეგ, კიდევ უფრო კარგად გაგცნობოდით და ამისთვის ახალი რუბრიკის შექმნა დამჭირდა. მოდი, ასე შევთანხმდეთ, პერიოდულად მე მოვყვები იმაზე, თუ რა მარშრუტები ან ადგილები მიზიდავს ქალაქში, მერე კი, რუბრიკას რომ ამოვწურავ, თქვენ უფრო კარგად გეცოდინებათ, თუ ვინ და რა ვარ.

ამბობენ ხოლმე, შენ ხარ ის, რაც გაცვია, რასაც ჭამ, ვისთანაც მეგობრობ, რასაც კითხულობ და ასე შემდეგ, ვარიაციები შეგიძლიათ მოარგოთ ან მოირგოთ ხასიათისამებრ. თუ ეს მართლა ასეა და სხვადასხვა მოხმარების საგნებს, ადამიანებს თუ აქტივობებს მორგებული ადამიანი უფრო გასაგები ხდება სხვებისთვის, მაშინ თითქმის ამოუწურავი ვარიაციების სიას ერთს მეც შევმატებ და ვიტყვი, რომ ქალაქში ხეტიალთან მიმართებაში შენ ხარ ის, სადაც ხშირად შეეხებები ხოლმე. სხვანაირად ეს ყველაფერი ასე ჟღერს – შენ ხარ ის, რაც ქალაქში ხეტიალისას ამოჩემებულ ჩვევად გექცა. ასეთი მარშრუტები და ადგილები, ისევე როგორც ალბათ ყველას, მეც ბევრი მაქვს და ისინი ქალაქის და ჩემი საკმაოდ დინამიური ურთიერთობის შედეგად გაჩენილი ამოჩემებული სივრცეებია, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ იმას, თუ ვინ და რა ვარ.

დავინყებ იმით, რაც ბევრისთვის, ვინც ჩემ შესახებ თუნდაც რამე იცის, ახალი არ იქნება – მე ღვინო მიყვარს. არა

მაინცდამაინც ღვინოთ თრობა (ჩამომთვალეთ შემთხვევები, როდესაც ნასვამი გინახავთ!), არამედ თვითონ ის, რასაც ღვინო, როგორც ადამიანის ძალისხმევის შედეგად გაჩენილი კარი საკუთარ თავში და ხალხების ისტორიაში, წარმოადგენს. ყველაფერთან ერთად ის ოთხი ძირითადი სტიქიის, ცეცხლის, წყლის, ჰაერის და მიწის, ხშირად იმპროვიზირებული ურთიერთობის შედეგია, მაგრამ ყველაფერი ამ „მიშურისგან“ ადამიანის ფაქტორი და მისი, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ძ ა ლ ი ს ხ მ ე ვ ა, მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის. ღვინოს ადამიანები ქმნიან და ის სივრცე, რომელიც ჩემი ქალაქური პორტრეტის პირველი შტრიხი იქნება,



ადამიანების ძალისხმევის შედეგადაა გაჩენილი თბილისში.

რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, თბილისში კარგი ღვინის დაჭაშნიკება წლების და წლების განმავლობაში შეუძლებელი იყო. დიას, იყო საქეიფო თუ გასაღეში ადგილები, მაგრამ ამ ყველაფერს არაფერი საერთო არა აქვს ღვინის და ადამიანის ურთიერთობის უფრო ინტიმურ მხარესთან, იმ ჯადოსნურ სივრცესთან, სადაც ღვინის დამჭაშნიკებელი ღვინისვე მეშვეობით საკუთარ თავთან თუ სხვებთან გ ა ს ა უ ბ რ ე ბ ი ს ველში აბიჯებს და იქიდან იმაზე გამდიდრებული გამოდის, ვიდრე იმ ველში შებიჯებამდე

იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები „ღვინის აკვანში“ რწევა-რწევით მოვლონიერდით, ჩვენი ყველაზე დიდი სირცხვილი მაინც ღვინოსთან ურთიერთობაა. მასთან მიმართებაში ჩვენ ნამდვილად „ჩავიჭერი“ და იქამდე მივედით, რომ ონიშჩენკომაც კი დაგვიწუნა ნახელავი. ამაზე შემამფოთებელი სხვა რაღა უნდა ვთქვა?

ვალღარებ, წლების განმავლობაში რაღაცის შეცვლა მაინც მოვახერხეთ, მაგრამ მაინც, კ ა რ გ ი ღვინო დღესაც „ანდერგრაუნდშია“. „ანდერგრაუნდშივე“ ის ადგილი თბილისში, სადაც კარგი ღვინის დაჭაშნიკება შესაძლებელი. ისინი, ვინც თბილისში ღვინისა და მის დამჭაშნიკებელს შორის საუბრის ველს მისცეს თავიდან გაჩენის საშუალება, სხვადასხვა წარმოშობის თუ პროფესიის ადამიანები არიან. მათი ღვინოები დღეს იტალიაში, იაპონიაში, ინგლისსა და შეერთებულ შტატებში იყიდება, თუმცა ეს მთავარი არაა. მთავარი ისაა, რომ ამ ადამიანებმა ქართული ღვინო ხიფათს მოაცილეს და ღვინისა და მის მომხმარებელს შორის საუბარში ახალი დისკურსი გააჩინეს. მათ ცოდნაზე, ინტუიციაზე და განსაკუთრებულ ძალისხმევაზე დაყრდნობით, ინდივიდუალური სიღრ-

მეებიდან „ამოქაჩეს“ ს ა კ უ თ ა რ ი ღვინო და საკუთარ ენაზევე ალაპარაკეს ის, შესაბამისად შეცვალეს მასთან ჩვენი მხრიდან შ ე პ ა ს უ ხ ე ბ ი ს ფორმებიც. დანარჩენი უკვე მისტერიაა და ის ღვინოსთან ყოველ შემდგომ მიახლოებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ღრმავდება.

ღვინის სარდაფი „l'vino underground“-ი გალაკტიონ ტაბიძის 15 ნომერში ჩემი ქალაქური პორტრეტის პირველი შტრიხია. ქალაქში სეირნობისას მე იქ საკუთარ თავთან, ღვინოსთან და მის მკეთებლებთან სასაუბროდ ვჩერდები ხოლმე. იმ სარდაფში სათქმელი ყველას ბევრი გვაქვს. 🍷



www.ucnobifm.ge



ახალი დინამიკა

www.tv9.ge